№ 2683
კვირა,
28 ნოემბერი

ცნობის ფურცელი

№ 2683
კვირა,
28 ნოემბერი

105

გაზეთი ღირს: წლიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კამპ. განცხადებათა კონტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1904

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მოკლე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს; ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთი თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

ხელის მოწერა 1905 წლისათვის.

ყოველ დღიური გაზეთი „ცნობის ფურცელი" წელიწადი მეათე
სურათებიანი დამატებით.

კავკასიაში და რუსეთში ერთის წლით 6 მან.	ფასი გაზეთისა გაგზავნით წლიური ფასის განაწილება: ხელის მოწერისათანავე 4 მან. და დანარჩენიც პირველ მარტამდე.	საზღვარ გარედ ერთის წლით 9 მ.

ყოველ თვიური ჟურნალი „მოამბე" წელიწადი მეთორმეტე

კავკასიაში და რუსეთში 1 წლით 10 მან. ცალკე №—1 მან.	ფასი ჟურნალისა გაგზავნით ვინც „მოამბე"-ს მთელის წლით გამოიწერს, სურათებიანი დამატებანი და „ცნობის ფურცელი"	საზღვარ გარედ ერთის წლით 13 მან. ცალკე №—1 მ. 20 კ.

◆ უფასოდ გაეგზავნება ◆

მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატონ 1 მანეთი, რომელიც ხელის მოწერისათანავე უნდა იქმნას შემოტანილი.

წლიური ფასის განაწილება: პირველად—6 მან. ქალაქ გარედ მცხოვრებთათვის და 5 მანეთი ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე—3 მან., 1-ლ აგვისტომდე—დანარჩენი.
(გარკვევით უნდა დაიწეროს სახელი გამოცემისა, რომელსაც იწერთ)

როგორც „ცნობის ფურცლის", ისე „მოამბის" მხოლოდ წლიურ ხელის მომწერთ გაეგზავნებათ თხზულება გამოჩენილ ესპანელ მწერლის სერვანტესის

დონ-კიხოტი
დორეს სურათებით.

ეს თხზულება ნათარგმნია ნიკოლოზ აგალიშვილის მიერ და შედარებულია ჟიარდის ფრანგულ თარგმანთან ალექსანდრე სარაჯიშვილის დახმარებით.

ორი ტომი შეიცავს დაახლოვებით 1700 გვერდს (300 სურათით) პრემიად დარიგებულ ყაზბეგის ნაწერების ფორმატისას

1905 წ. ხელის მომწერთ დაურიგდებათ პირველი ტომი, ხოლო მეორე ტომი გაეგზავნებათ 1906 წლის ხელის მომწერთ.

ვინც 1906 წ. არ ისურვებს ჟურნალ-გაზეთზე ხელის მოწერის გაგრძობას, მას შეუძლიან 1906 წლის დამდეგს მიიღოს მეორე ტომი, რისთვისაც დაუმატებს 2 მან. 50 კაპ. ტფილისში მცხოვრები და 3 მან. 20 კ. ტფილისს გარედ მცხოვრები. აგრედვე 1906 წ. ახალი ხელის მომწერი მიიღებს პირველ ტომს ამავე პირობით. პრემიის გასაგზავნად ტფილისს გარეთ ხელის მომწერლებმა უნდა დაუმატონ 70 კ. წლიურ ფასის გარდა.

გარდა ამისა „მოამბის" წლიურ ხელის მომწერთ გაეგზავნებათ

მასალები საქართველოს ისტორიისათვის

ბატონიშვილის დავით გიორგის ძისა და მის ძმებისა.

ეს წიგნი ახლად ნაპოვნ ხელთ-ნაწერიდან იბეჭდება და შეიცავს 300 გვერდს „მოამბის" ფორმატისას.

რედაქციის კანტორის ადრესი: ვანქის დიდი ქუჩა, ქართ. ამხ. სადგომში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Въ редакцію „Моамбе"-„Цнобисъ Пурцели".

ქართული თეატრი. ვეტცელის თეატრი
(მიხეილის ქუჩა)
კვირას, 28 ნოემბერს, ქართულ დრამატიულ დასის არტისტების მიერ წარმოდგენილი იქნება
სამშობლო
დრამა 5 მოქმ. 6 სურ. დავ. ერისთავისა.
მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი
ადგილების ფასი 30 კ. 2 მანეთამდე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
ადმინისტრაცია ამხანაგობისა. მორიგი რეჟისორი ძ. მესხი.

სახაზინო თეატრი. ანტრეპრიზა ხაიმჯერ. თეატრის არტ. ლ. დ. დონსკოისა.
კვირას, 28 ნოემბერს 1904 წელს
წარმოდგე „ფენელლა" და „ალეკო" ნილი იქნება
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ეიკშემსკაია, ნიკიტსკაი, მიხაილოვა, ხარიტონოვა; ბ-ნნი: ბოგდანოვიჩი, დონსკოი, გალეცკი, სპერანსკი, ზალინსკი, მურატოვი.
კაპელმეისტერი ეიხენვალდი. ფასები დაკლებულია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
29 ნოემბ. „აიდა". გამგე ი. ა. კელლერი.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"
26 ნოემბერი

ლონდონი. 25 ნოემბერი. პორტ-არტურთან იაპონიის არმიაში მყოფი რეიტერის კორესპონდენტი იუწყება, 203 მეტრიანი გორაკი ვნახე და თვალ-წინ საზარელი სურათი წარმომიდგა. გორაკის მწვერვალი დათხრილია ყუმბარებით, რომელთა ნამტვრევები ფერდობზე ჰყრია. დანგრეული სანგრები მიწითაა დაფარული. სანგრების ერთ ნაწილში, 100 მეტრის მანძილზე, 200 მოკლული და დაჭრილი რუსი იპოვეს. გვამები საშინლად დამახინჯებულია ყუმბარებისაგანაო.

შანხაი. 26 ნოემბერი („რეიტერი"). არწმუნებიან, რომ 25 ათას კაცისაგან შემდგარ რუსის ჯარს, რომელიც მუკდენის სამხრეთ-დასავლეთით იდგა, ამ ჟამად უჭირავს პოზიცია მუკდენის სამხრეთ-აღმოსავლეთით. ფიქრობენ, რომ რუსები სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ წინსვლას აპირებენ. იუწყებიან, ამას წინად „ასკოლდ"-მა ფარულად დატვირთა ნახშირით. ამ გემის საქმე შეაკეთეს. გულისხმობენ, „ასკოლდ"-ი ეცდება ფარულად გავიდეს ნავთსადგურიდან და ბალტიის ესკადრას შეუერთდეს, როცა უკანასკნელი ჩინეთის წყლებში შევაო.

ნიჟნი-ნოვგოროდი. ვოლგაზე მოსამსახურენი თანაგრძნობით მიეგებნენ წერილებს მესამე ესკადრის შესახებ. ადგილობრივ გაზეთში დაბეჭდილია წერილი, რომელშიაც ნათქვამია, სამსახურიდან გადამდგარი მეზღვაურები მხოლოდ მოწვევას ელიან და თავის ნებით წავლენ ომშიო.

კალუგა. სიზრანო-ვიაზმის რკინის გზის მოსამსახურეებმა ფული შეკრიბეს და დაჭრილებისათვის სავადმყოფოს ხსნიან.

ლონდონი, 25 ნოემბერი („რეიტერი"). „რეიტერის სააგენტო"-ს კორესპონდენტი იუწყება, გენ. ნოგის არმიიდან: 19 ნოემბერს დილით რუსებმა იაპონელებს 13 ნოემბერს ბრძოლაში მოკლულთა და დაჭრილთა გატანის ნება მისცეს. შემდეგ 23 ნოემბერს რუსებმაც ითხოვეს 17 ნოემბერს ბრძოლაში მოკლულთა და დაჭრილთა გატანის ნებართვა. იაპონელები დასთანხმდნენ, მაგრამ დღეს უკან გამოართვეს ნება-რთვა. 17 ნოემბერს გენერალ ნოგის მეორე შვილი მოჰკლეს. უფროსი შვილი ნანშანთან (ცინჩოუსთან) 13 მაისს მოუკლეს. ეხლა გენ. ნოგის შვილი აღარ დარჩა.

ლონდონი, 26 ნოემბერი. „რეიტერის სააგენტო"-ს კორესპონდენტი იუწყება გენ. ნოგის არმიიდან: 18 ნოემბერს ღამით იაპონელებმა ერლუნგშანისა და კიკვანშანის ფორტების პარაპეტებზე სანგრები გამართეს მიტრალიოზებისათვის, მაგრამ მეორე დღეს იძულებულნი იყვნენ უკან დაეხიათ.

27 ნოემბერი

პეტერბურგი. „მეორე რანგის კაპიტანმა კლადომ მოათავსა „ნოვოე ვრემია"-ში რამდენიმე წერილი და ნება მისცა თავს თავხედად ბრალი ედო სამხედრო სამინისტროსთვის. ამასთან დაამახინჯა ფაქტები. ამ გვარ თვალ-საჩინო დისციპლინარულ საქციელისთვის ვბრძანებ მეორე რანგის კაპიტანი კლადო დაპატიმრებულ იქნას 18 დღით ჰაუპტვახტში. ამ ბრძანებაზე აწერია: „გენერალ-ადმირალი ალექსეი."

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან"
26 ნოემბერი

ტოკიო, 25 ნოემბერი. „დეილი ექსპრეს"-ი იუწყება: იაპონიის მთავრობას საჭიროდ მიაჩნია უკანასკნელი ღონე იხმაროს პორტ-არტურის ასაღებად, რადგან იაპონიის ფლოტი უნდა გაანთავისუფლონ ბალტიის ესკადრასთან საომრად. დარწმუნებულნი არიან, იაპონელების იერიში ამ მოკლე ხანში გამარჯვებით დაგვირგვინდებაო. შიშობენ, გენერალი სტესსელი ლიაოტეშანში წავა და იქიდან რუსების უკუქცევა შეუძლებელი გახდებაო. მაღალი გორის აღების შემდეგ კიდევ სამი სხვა სიმაღლე დაიჭირეს იაპონელებმა. იაპონელები გამწვავებით ებრძვიან რუსებს დანარჩენ გორების დასაჭერად. იაპონიის ყველა გემი საომრადაა გამოწყობილი და პორტ-არტურის აღებას ელის.

შანხაი, 25 ნოემბერი. „დეილი ტელეგრაფ"-ის სიტყვით, ჩინეთის სადარაჯო გემი, რომელიც „ასკოლდ"-ის ახლოს იდგა, წავიდა, რადგან შეკეთება სჭირია. ამბობენ, „ასკოლდ"-ი ნახშირს ტვირთავს და მანქანებს სდგამს, ემზადება ზღვაში უეცრად გასასვლელად და ბალტიის ესკადრასთან შესაერთებლადაო.

ტოკიო, 25 ნოემბერი. „დეილი მეილ"-ი იუწყება: რუსის ჯარები ტაიანგკაუსა და იტცეშანის სიმაგრეებში ყოველ ღონისძიებას ხმარობდნენ მაღალი გორის ასაღებად და ბოლო დროს გადაყვანილ იქნენ თავის წინანდელ პოზიციებზე. მეციხოვნე ჯარი ეხლა სუსტად მოქმედებს იაპონელ საპიორების წინააღმდეგ, რომელნიც აღმოსავლეთის სიმაგრეების წინ მუშაობენ.

პეტერბურგი, 26 ნოემბერი. უმაღლესად ნაბრძანებია: საომარ წერ-რიგზე დააყენონ შორეულ-აღმოსავლეთში გასაგზავნად კავკასიის ოთხი ყაზახთა პოლკი: ორ-ორი ყუბანისა და თერგის ჯარებიდან. ამ პოლკებისაგან უნდა შესდგეს ორი ბრიგადა ანუ ერთი დივიზია სახელწოდებით—„კავკასიის ყაზახთა შეერთებული დივიზია."

ვლადივოსტოკი, 26 ნოემბერი. წმ. გიორგის ჯვრის კავალერები ხელმწიფე იმპერატორმა დღეს შემდეგის დეპეშით გაახარა: „ვულოცავ წყნარ ოკეანეს ფლოტის წმ. გიორგის კავალერებს ორდენის დღესასწაულს და მადლობას ვუთვლი გმირულ მოღვაწეობისთვის".

ომის დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ომის ამბები. „ეკო დე პარი"-ს პეტერბურგელი კორესპონდენტი იუწყება: სანამ სამივე რუსის არმია სრულად არ იქნება შედგენილი, გენ. კუროპატკინი იერიშს არ მიიტანს იაპონელებზეო. („ნ. დ.").

„დეილი ექსპრეს"-ის კორესპონდენტი არწმუნებს, ამ ჟამად რუსეთის მთავარმა შტაბმა პლანი შეადგინა, რომ მანჯურიის მე-4 და მე-5 არმიებიც დაარსდესო. ეს არმიები მანჯურიაში გაზაფხულზე ადრე ვერ ჩავლენ, რადგან ციმბირის რკინის გზა ამ ჟამად მანჯურიის მესამე არმიის გადაყვანას უნდება. გენ. კაულბარსის მესამე არმიას 30 ათასი ყაზახს მოუმატებენ და სამს პატარა არმიად გაჰყოფენ; ამ პატარა არმიების უფროსებს თითონ გენ. კაულბარსი დაჰნიშნავს, როცა ომის ასპარეზზე ჩავა. („რ. ლ.").

„კელნიშე ცაიტუნგ"-ს ატყობინებენ ტოკიოდან: ამას წინად იმპერატორის თანადასწრებით უმაღლეს სამხედრო სკოლის მოწაფეები მანჯურიაში გაისტუმრეს. სულ 546 ახალი აფიცერი გაისტუმრეს ომის ასპარეზზე; ამათ შორის 92 ჩინელია. 8 საუკეთესო მოწაფეს იმპერატორმა ვერცხლის საათები უბოძა; 4 ჩინელსაც ძველებური იაპონური ხმლები უბოძა. 549 ახალგაზდა აფიცრიდან 384 ქვეითა ჯარში გაამწესეს, 29—კავალერიაში, 38—საველე არტილერიაში, 25—საციხე არტილერიაში, 50 საპიორადა და 23 ქარვნის ჯარში. („რ.").

კრუპის ქარხანამ მომავალ თებერვლამდე მსწრაფლ-მსროლელი ზარბაზნები უნდა ჩააბაროს იაპონიას. ამ ზარბაზნებს ხმელთა შუა ზღვის რომელსამე პორტამდე რკინის გზით მიიტანენ და მერე იქიდან გემებით წაიღებენ იაპონიას. („რ.").

იაპონური გაზეთები იუწყებიან: სამხედრო სამინისტრო პატარა ავტომობილების სყიდვას აპირობს ჯარისათვისაო. („რ.").

ფრანგულ გაზ. „რაპპელ"-ს ატყობინებენ ტოკიოდან: ამას წინად დაარსებულმა პატრიოტულმა საზოგადოებამ მოქმედების პროგრამა შეიმუშავა. ეს საზოგადოება ეროვნულ თავისუფალ ფლოტის დაარსებას აპირობს. საზოგადოებას ყველა დიდ ქალაქში განყოფილება იქვს დაარსებული და ეხლავე იმდენი ფული შეკრიბა, რომ ორის კრეისერის სყიდვა შეუძლიან საზღვარ გარედ („რ. ლ.").

„ნიუ-იორკ ჰერალდ"-ს დეპეშით ატყობინებენ ვაშინგტონიდან, რუსეთმა ამერიკელ ინჟინერს ლიუის ნიკსონს ახალ ფლოტის აშენება მიანდოო. ამერიკის საუკეთესო გემების პლანიც ნიკსონმა შეადგინა. ამერიკელი ინჟინერი მალე სევასტოპოლს წავა და იქ 100 სხვა და სხვა ტიპის გემის აშენებას შეუდგება. თან 7 ათასი ამერიკელი მუშა მიჰყავს. ნიკსონის აზრით, გემების აშენება, შეიძლება, ორს წელიწადს დასრულდესო. („რ. ლ.").

„მორნინგ პოსტ"-ს ატყობინებენ შანხაიდან, ერთი რუსის ნაღმიანი გემი ზღვაში იაპონელების დასაზვერად გავიდა და როცა უკან ვლადივოსტოკში ბრუნდებოდა, რუსის სანაპირო ბატარეებმა ზარბაზანი დაუშინეს და ჩაძირესო. („რ.").

„დეილი ნიუს"-ის პარიზელი კორესპონდენტი დეპეშით იუწყება, გამომძიებელ კომისიის სხდომა ჯერ არაა დანიშნული. პარიზში დარწმუნებულნი არიან, გულის გამომძიებამ საკმაოდ გამოარკვია ჩრდილოეთ ზღვაში მომხდარი ინციდენტი და დაამტკიცა, რომ იაპონიის ნაღმიანი გემები არ დასცემიან რუსის ესკადრასაო. („ნ. დ.").

ბრძოლა ცინხეჩენთან, 11—15 ნოემბერს. როგორც ვიცით გენ. კუროკის არმიამ გაილაშქრა და საკმაოდ წინ წაიწია ფუშუნის გზაზე; ამავე დროს გენ. კუროკის განაპირა მარჯვენა რაზმმაც იერიში მიიტანა რუსის განაპირა მარცხენა ფრთაზე და ცინხეჩენთან გენ. რენენკამფის რაზმს შეებრძოლა. „ნოვოსტი დნია"-ს სამხედრო მიმომხილველი ბ-ნი პ. დ. კ. სწერს: „მას აქეთ, რაც რუსის არმიამ სექტემბერში წინ გაილაშქრა, გენ. რენენკამფის რაზმზე სწორე ცნობა აღარ მოსულა. გალაშქრების პირველ ხანებში ამბავი მოდიოდა, გენ. რენენკამფი მდ. ტაიძიხეს გაღმა გავიდა, გენ. კუროკის არმიას ზურგიდან მოექცა, თითქმის ფინხუაჩენამდე ჩავიდაო, მაგრამ მალე ყველა ეს ხმა გაცრუვდა. რუსის არმიამ უკან დაიხია და ოქტომბრის დამდეგს მდ. შახეს ჩრდილოეთით გამაგრდა. გენ. რენენკამფის რაზმმაც უკან დაიხია, სინცინტინის მხარეს დადგა და ძლიერ დაშორდა რუსის არმიის მარცხენა ფრთას. იაპონელებმაც უყურადღებოდ არ დასტოვეს გენ. რენენკამფი და იმის წინააღმდეგ ცალკე რაზმი გაგზავნეს. ამ რაზმს ჯერ ნოემბრის დამდეგს დაპინდუშანთან მოუვიდა შეტაკება გენ. რენენკამფის რაზმთან და 11—14 ნოემბერს ცინხეჩენთან ოთხის დღის განმავლობაში მიჰქონდა იერიში რუსის პოზიციებზე. ეს იერიში უცნაური იყო სწორედ: იაპონელები ძლიერ ცოტა ჯარით მიდიოდნენ; ასე, 11 ნოემბერს 3 როტა წამოვიდა იერიშით, 12 ნოემბერს კიდევ ერთი ბატალიონი, მერე 12 ნოემბერს ღამით კიდევ რამდენიმე როტა მიეშველათ და სხვა. ამიტომ საკვირველიც არაა, რომ იაპონელები ვერას გახდნენ და უკან დაიხიეს. ეტყობა, იაპონელები განგებ, განზრახ მოიქცნენ ამ ნაირად, რადგან სხვა ბრძოლის დროს სულ სხვა ტაქტიკას მისდევდნენ ხოლმე: პირველ დღეს ცოტა ჯარით გამოდიოდნენ, მტრის ჯარს რიგზე ჰზვერავდნენ და მეორე დღეს ან იმავ ღამეს დიდის ჯარით მოდიოდნენ და მოპირდაპირეს ამარცხებდნენ. აქ ხელახლად უნდა აღვნიშნოთ, რომ იაპონელებმა საკვირველი მხნეობა გამოიჩინეს ცინხეჩენთან. ხუთჯერ ზედი-ზედ იერიშით წასვლა მხოლოდ განსაკუთრებით გულად ხალხს შეუძლიან; ეს გულადობა და მედგრობა მით უფრო შესანიშნავია, რომ ამ რაზმში სულ რეზერვისტები ყოფილან. დეპეშები ამავე დროს გვატყობინებდნენ, იაპონელები სულით დაეცნენ და მაშველი ჯარში სულ გაუწვრთნელი ახალგაზრდა სალდათები ჰყავთო. ფაქტები-კი სულ სხვას ჰმოწმობენ... ბოლოს იაპონელებმა მდ. ტაიძიხისაკენ დაიხიეს, გენ. რენენკამფიც თან გაჰყვათ... ვიმეორებთ, იაპონელების ქცევა ცინხეჩენთან მეტის მეტად უცნაურად მიგვაჩნია; რუსულ ცნობებიდან თითქო ისე გამოდის, რომ იაპონელები ტყუილ უბრალოდ ცოტას ჯარით, ნაწილ-ნაწილად დასცემიან გენ. რენენკამფის ძლიერ რაზმს; მით უფრო უცნაურად გვეჩვენება, რომ, როგორც იუწყებიან, იაპონელებმა უკან დაიხიეს და რუსის ყაზახებს მდ. ტაიძიხეს ველზე ჩასვლაც ვერ დაუშალესო...

კორესპონდენტები იუწყებიან. გენ. რენენკამფს ცინხეჩენთან გაცილებით მეტი ჯარი ჰყოლია იაპონელებზეო. გუშინწინ „რეიტერის სააგენტოს" კორესპონდენტი იუწყებოდა, გენ. რენენკამფმა 100 იაპონელი დაატყვევაო; ეს შეცდომა უნდა იყოს, რადგან გენ. სახაროვი ატყობინებდა მთავარშტაბს, ცინხეჩენთან 7 იაპონელი დავატყვევეთო.

იაპონელ აფიცრის აზრი მომავალ ბრძოლაზე. იაპონიის საელჩოს სამხედრო აგენტს ლონდონში საუბრის დროს უთქვამს ინგლისელ ჟურნალისტისთვის: „ეხლა რუსისა და იაპონიის არმიები მდ. შახეზე გამაგრდნენ, სანგრები გაიმართეს და ერთმანეთის პირდაპირ დგანან. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ იაპონელები კიდევ განაგრძობენ სანგრების მართვას, რუსები-კი აღარა. რუსებს, ეტყობა, თავიანთი პოზიციები მიუვალ პოზიციებად მიაჩნიათ და მეტს გამაგრებას აღარ აპირობენ. ეხლა გარედან ისე ჰგონიათ, თითქო მდ. შახეზე მორიგება ჩამოვარდაო, ნამდვილად-კი ბრძოლა განუწყვეტლივ ხდება. ეგაა მხოლოდ სტრატეგიული და ტაქტიკური ბრძოლა ხდება. ჩვენ სულაც არა გვწადიან, რუსის სიმაგრეებს დავეჯახოთ და თითო შევაკლათ, ისე როგორც ლ[illegible] მდ. შახეზე, და ხელ-ახლა [illegible]

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ხ. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ა. ი. ბადარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9½—10½ ს.
გ. ტ. მოდინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის ყოველდღე გარდა კვირისა. 10—11 საათ.
ლ. ი. ძიმონტი.—ხირურგია 11½—12½ კვირაობით, სამშაბ., და ხუთშაბათ.
ა. ნ. დიასამიძე.—ვენერიული და კანისა 12½—1½ საათამდე.
დ. ა. ბედიანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.
მძ. ქალი ზ. ძ. იოსელიანი.—ქალისა და საბავშვით, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.
ვ. ა. ბილიჩი.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ.
დ. მ. მონინი.—ქალისა, [illegible] და ბავშვებისა და (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაო. 1—2 საათამდე.
ვ. ს. მუსხელიშვილი.—თვალისა 2—3 საათ. ყოველ-დღე გარდა სამშაბ. და კვირისა.
ბრ. მ. ხოხოლამიძე.—ხირურგია და ორთოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკ. 1—3 საათამდე.

საღამოთი:

ბ. მ. ხოხოლამიძე.—ხირურგია და ორთოპედია სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.
ტ. ს. დავიდოვი.—შინაგანი და ბავშვებისა ყოველდღე გარდა კვირისა. 5—6 საათ.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., საავადმყოფოს აქვს ორი საწოლი სამკურნალოში ოპერაციები მორიგებით. კროვატები დღეში ღირს 1½ მან. საზოგადო და ნომერი 5 მან.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. ვოკზალის ქუჩიდან-კი 34 B.
ტელეფონი № 274.

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე
იღებს სიფილისით და ვენერიულ სნით ავადმყოფებს, დილის 9—11-მდე და საღამოს 6—8-მდე. ფოსტის პირდაპირ, ბარონის ქუჩა, სახლი მესხიშვილისა.
(30—16)

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.
[illegible] ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 792.

კბილის ექიმი
ივანე ა. ახალშენიშვილი
გადავიდა: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-დის.

ექიმი
ი. ა. გოქიელოვი
მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, ვენერიულის, კანის, შიგნეულის და ნერვების. მიხაილოვის ქ., № 149. საკ. სახლი. დილის 9—12 საათ. და საღამოს 5—8 საათამდე.

ექიმი
ი. ე. ზამბურზერი
რიბოპიერის ქ.—27. იღებს შინაგანითა და ნერვებით ავადმყოფებს საღამოს 5—7 საათამდის. სამკურნალო-სადიაგნოზო კაბინეტი ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევანი ნახველისა, სისხლისა, შარდისა და სხვ.
(80—365—16)

ექიმი
ა. ნ. თეთრაძე
სუდებნაია, სახლი № 24, აფთიაქის თავზე. იღებს შინაგან, ნერვების და ბავშვების ავადმყოფებს საღამოს 5—8 საათამდე. მიკროსკოპით სინჯავს ნახველს, შარდს, სისხლს და სხვ.
(37—366—16)

კბილის ექიმი
ეკ. რომანიშვილი
მიიღებს ავადმყოფებს ახალ ბინაზე მუხრანიანთ ქუჩა, № 19, საკუთარი სახლი, ქალაქის სამკურნალოს გვერდზე, დილის 12 საათიდან საღამოს 5 საათამდე.
(თვ.—ნ.—35)

ქუთაისში დ. ი. ოცხელის სანერგეში ისყიდება საუკეთესო დამყნილი ვაზები სვა-და-სხვა ჯიშისა.
ტფილისის ქუჩის შესახვევი, კვინიხიძის სახლი.
(4—4133—2)

სამხედრო საისტორიო მუზეუმი
სურათების გამოფენა
კავკასიის მხატვრობის მფარველ საზოგადოებისა. შესვლის ფასი 30 კაპ. კატალოგით. ბავშვებისა და სალდათებისთვის 15 კ. (4—396—1)

შევსწიროთ მსხვერპლად. ეხლა ქვეითა ჯარისა და არტილერიის ბრძოლა-კი არა, საინჟენრო ჯარის (საპიორები) ბრძოლა მოხდება. მუკდენის წინ გადასწყდება, ვინ უფრო უკეთესი სტრატეგი და ტაქტიკია—მარშალი ოიამა, თუ გენ. კუროპატკინი. მუკდენთან ორსავ მთავარ-სარდლისა და იმათ შტაბის გონება და ნიჭი ებრძვის ერთმანეთს. ყველაფრიდან სჩანს, რომ მუკდენს ახლო ისეთი დიდი სისხლის ღვრა აღარ მოხდება, როგორიც ამას წინად მოხდა. რასაკვირველია, ზოგან ქვეითა ჯარსაც მოუხდება დიდი ბრძოლა ზოგიერთ პოზიციის დასაჭერად, მაგალითად პუტილოვის გორის დასაჭერად; ალბად, იქ არტილერიაც დიდ როლს თამაშებს, მაგრამ მთელი ბრძოლა თითქო შეუნიშნავად გადაწყდება. შეიძლება, სტრატეგიულ ჭადრაკის გადასმამ ბრძოლის ბედი გადასწყვიტოს და მოპირდაპირეს პოზიციები მიატოვებინოს და უკან დაახევინოს. ისიც შეიძლება, რომ გენ. კუროპატკინი, როცა უკან დახევის აუცილებლობას დაინახავს, მაინც შეებრძოლოს იაპონელებს თავის ჯარის გასამხნევებლად, მაგრამ ეს ბრძოლა უაზრო იქნება და ვერაფერ სარგებლობას ვერ მოუტანს. ეგებ ვინ იცის, იქნება გენ. კუროპატკინს კიდევ ჰქონდეს გამარჯვების იმედი. უნდა ვსთქვათ, რომ სიცივემ შესამჩნევად შესცვალა საქმის მდგომარეობა. გაყინული დედამიწა ძნელად ემორჩილება წერაქვსა და ნიჩაბს. მძიმე ტრანსპორტებს ყინვის გამო გზებზე სიარული უჭირდებათ; გაყინულ მდინარეებზე ქვეითად გადასვლა ადვილია, მაგრამ ქარავანსა და არტილერიას-კი გაუჭირდებათ, რადგან მდინარეებზე ყინული მთასავით დგას. ყველა ეს მეტად აძნელებს საინჟენრო საქმეს. ზამთარი ჩვენი საუკეთესო მოკავშირეა რუსების წინააღმდეგ. ეს მალე გამოჩნდება“. („ნ. ვ.“).

პორტ-არტური. „ნოვოე ვრემია“-ს სამხედრო მიმომხილველი ს. გ. ჰფიქრობს, „203 მეტრიანი გორა“ იტშანის პორტიაო. თუ ეს მართალია, მაშ ამ გორას სამი სახელი ჰქონია: იაპონელები „203 მეტრიან გორას“ ეძახიან, რუსები „ვისოკაია გორას“ და ჩინელები იტშანს.

„ლოკ. ინცაიგერ“-ის კარტაზე „203 მეტრიანი გორა“ ანცეშანისა და ეტშანის ფორტებ შუაა ნაჩვენები და „სტოლოვაია გორას“ მაღლიდან დაჰყურებს. სტოლოვაია გორა იაპონელების პოზიციებსა და ნავთ-სადგურს შუა მდებარეობს და სულ 100 მეტრი სიმაღლე აქვს. ნავთ-სადგურიდან „203 მეტრიან გორამდე“ $5^1/_2$ კილომეტრი იქნება. („ნ. დ.“).

ვენურ გაზ. „ნოე ფრაიე პრესე“-ს სამხედრო მიმომხილველი მეტად დიდ მნიშვნელობას აძლევს 203 მეტრიან, ან „ვისოკაია გორის“ აღებას. მიმომხილველი სწერს: „ვისოკაია გორა“ ჩრდილოეთისა და დასავლეთის ფრონტის საზღვარზე მდებარეობს. ამ გორის აღებით იაპონელებმა მეტად მარჯვე ადგილას გაარღვიეს ფორტების წრე. აქამდე გენ. ნოგი მხოლოდ ფრონტიდან (წინადან, შუბლიდან) ესროდა ზარბაზნს ჩრდილოეთ და დასავლეთ ფრონტს, ეხლა კი ახლობელ ფორტებს გვერდიდანაც დაუშენს ყუმბარას. უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ „ვისოკაია გორა“ მაღლიდან დაჰყურებს „სტოლოვაია გორას“ და ამ გორაზე მდებარე იცშანისა და სუნშუის (სუნშუშანის) ფორტებს; აქამდე ამ ფორტებს მხოლოდ პალიჩუანიდან ესროდნენ ზარბაზნს და ამიტომ იაპონიის არტილერია ბევრს ვერას აკლებდათ ეხლა კი „ვისოკაია გორიდან“ იაპონელები მალე გააჩუმებენ ამ ფორტების არტილერიას და ბოლოს თითონ ფორტებსაც ხელში ჩაიგდებენ. „სტოლოვაია გორას“ (მაშასადამე „იცშანისა და სუნშუშანის ფორტებისაც) აღება პორტ-არტურის ბედს გადასწყვეტს. საქმე ისაა, რომ „სტოლოვაია გორიდან“ იაპონელები ვეშაპის ქედისა (დრაკონოვ ხრებეტ,) ოქროს გორისა და ვეფხვის ნახევარ კუნძულის ფორტებს ზურგიდან დაუშენენ ზარბაზნს და სულ გაანადგურებენ. ამას გარდა, როცა იაპონელები „სტოლოვაია გორას“ აიღებენ, რუსები თითქმის ველარ მოახერხებენ ლიაოტეშანზე გადასვლას... იაპონელებს ერთსა და იმავე დროს აღმოსავლეთის ფორტებზეც მიაქვთ იერიში, დასავლეთის ფორტებზეც, რომ რუსის ჯარმა ვერ გაიგოს, თუ სად აპირებენ უმთავრეს იერიშის მიტანას.“ („ნ. დ.“).

203 მეტრიან გორის შტურმი ჯერ კიდევ შაბათს, 13 ნოემბერს, დაიწყო. ორშაბათს გენ. ნოგის არმიის მარჯვენა ფრთამ რამდენისამე შტურმის შემდეგ გორის მომეტებული ნაწილი ჩაიგდო ხელში იმავე დროს იაპონელებმა ჩიფუნშანის სიმაგრეც აიღეს, 203 მეტრიან გორის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით. რუსებს, ეტყობა, დიდი ზარალი მოუვიდათ, იმათი არტილერია გორაზე თითქმის სულ გაჩუმებული იყო იაპონელებს ის იყო მთელის გორის აღების იმედი ჰქონდათ, მაგრამ რუსებმა სარეზერვო (მარქაფა) ჯარი მოიშველიეს და მთელი ღამე შამაცად იგერიებდნენ იაპონელებს. დილით იაპონელებმა კიდევ ზარბაზანი დაუშინეს გორას. რუსის არტილერია თან და თან ჩუმდებოდა, მაგრამ იაპონელები მით მაინც ნელ-ნელა მიდიოდნენ წინა და გორა მხოლოდ ოთხშაბათს, 17 ნოემბერს, საღამოს აიღეს. რუსებმა გორაზე რამდენიმე 47 მილიმეტრიანი მსწრაფლ მსროლელი და 15 სენტიმეტრიანი კანეს ზარბაზანი დასტოვეს. („ნ დ.“).

გენ. ნოგი იუწყება: რუსებმა „203 მეტრიან გორაზე“ ასობით დასტოვეს მოკლული და დაჭრილი სალდათებიო. („ნ. დ.“).

„ეკო დე პარი“ ს კორესპონდენტი დეპეშით იუწყება: გენ. სტესელმა თავის შვილს ცარსკოე სელოში წარსულ 1 სექტემბერს მოსწერა; პორტ-არტურში 32 ათასი მეომარი გვყავს (1 სექტემბრამდე), სნეულნი და დაჭრილებიც რომ ვიანგარიშოთ. სამხედრო სურსათი თუმცა ჭარბად არა გვაქვს, მაინც გვეყოფაო. („ნ. დ.“).

ახალი ამბავი

◆ წარსულ კვირის განმავლობაში „წერა-კითხვის საზოგადოებამ“ მიიღო **აკაკის სახელობის თანხის** სასარგებლოდ თავ. ნიკოლ. დიასამიძის შვილებისაგან ხუთი თუმანი, ნიკო თავდგირიძისაგან—10 მან., გიორგი გვაზავასაგან—5 მ., გ. რცხილაძისაგან—5 მან., მიხ. დაფქვიაშვილისაგან 1 მან., ივ. გეგელოვისაგან—1 მან. სოლ. სარაჯიშვილისაგან—1 მან., კოსტან. ტურიაშვილისაგან—15 მან. და ქუთაისის კომიტეტისაგან—900 მან., სულ 988 მან.

◆ **აკაკის სახელობის თანხისთვისვე** ჩვენმა რედაქციამ მიიღო: სტუდენტის ი. ქურდიანისაგან ნოვო-ალექსანდრიის სატყეო ინსტიტუტის ქართველ სტუდენტთა შორის შეგროვილი—15 მანეთი, ალ. მაჭავარიანისაგან—10 მანეთი და ყანთაურის სკოლის მასწავლებლის მიხეილ დეკანოზიშვილისაგან ნაცნობთა შორის შეკრებილი—9 მან. 30 კაპ.

◆ დიდი სარგებლობა მოიტანეს ამ ხოლერის დროს **ამიერ-კავკასიის რკინის გზის** მცირე სასანიტარო კომისიებმა. ამ კომისიებმა გამოარკვიეს, რომ ბევრ სადგურზე საშინელი სივიწროვეა სადგომების უქონლობის გამო, მეტადრე იქ, სადაც უმცროსი მოსამსახურენი, მეისრეები და მუშები სცხოვრობენ. აქ სიბინძურეც საკმაოდ აღმოჩნდა. ამის გამო ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსმა ყოველი საშუალება მიიღო, რომ მოსამსახურეთათვის აშენდეს სადგურებზე ახალი სადგომები და უფრო კარგადაც მოეწყოს.

◆ სოფ. ეწერთფერდის კვირიკეა-ივლიტეს ეკკლესია, რომელიც გურია-სამეგრელოს ეპარქიაშია, ამ 15 ნოემბერს შუაღამისას ვილაცებს **ზაუტეხიათ**. ხატები ძირს ჩამოუყრიათ, კრეტსაბელი ჩამოუხევიათ, შემოუჭრიათ თოკი ტრაპეზ გარეშე მოხვეული და იქვე დაუყრიათ. ძვირფას ნივთეულობისათვის ხელი არ უხლიათ. წაუღიათ მხოლოდ რამდენიმე ცალი წმინდა სანთელი.

◆ როგორც სამეგრელოდან გვატყობინებენ, ცხრა შეიარაღებული კაცი **თავს დასცემია თეკლათის დედათა მონასტერს**, დაუწყიათ თარეში მონაზონ-ქალების სენაკებში და ფული უთხოვიათ. მონასტრის წინამძღვრისთვის წაურთმევიათ 5 მანეთი, ხოლო დანარჩენ მონაზვნებისთვის უკანასკნელ კაპეიკამდის ამოუცლიათ.

◆ 26 ნოემბერს ტფილისის **ხორცის დუქნების** კომისიამ განიხილა ქალაქის გამგეობის ქაღალდი. გამგეობა სწერს, როგორც შეკრებილ ცნობებიდანა სჩანს, დუქნებს ყოველ წლობით 8—10,000 მანეთ.მდე ზარალი მოაქვს; რა ვილონოთ, რომ დუქნების საქმე უკეთ წავიდესო. კომისიამ მთელი საღამო მოანდომა დუქნების ყოფნა-არ ყოფნაზე თათბირს და ის აზრი გამოსთქვა, რომ თუმცა ზარალი დიდია, მაგრამ დუქნები მაინც უნდა დარჩეს, რადგან ღარიბ მცხოვრებთა უმრავლესობას საშუალება ეძლევა იაფად შეიძინოს ქალაქის დუქნებში ხორციო. ჩვენის აზრით, ამ შემთხვევაში გამოსარკვევია, ქალაქის დუქნებში მართლა ღარიბი ხალხი ყიდულობს ხორცს, თუ შეძლებული. საქმე ის არის, რომ დუქნები უფრო შუა ქალაქშია გამართული, ღარიბები-კი სულ განაპირას სცხოვრობენ, მაგალითად,—ნაძალადევს, ავლაბრის ბოლოსა და ვერის თავში.

◆ გურია სამეგრელოს ეპისკოპოსმა საქართველოს სასინოდო კანტორას სთხოვა, რადგან ამ ბოლო დროს ჩემდამო რწმუნებულ ეპარქიაში ძლიერ გახშირდა ეკკლესიების გაქურდვა, იშუამდგომლეთ უმაღლეს ადმინისტრაციის წინაშე, რომ ყველა ეკკლესიასა და მონასტერს, რომელიც ჩემს ეპარქიაშია, სოფლის საზოგადოებამ თავის ხარჯით დაუყენოს ყარაულებიო.

◆ განჯის გუბერნიაში, სადაც უფრო პურსა და ფეტვს სთესენ, ჰფიქრობენ ეხლა **ხმინდის თესვასაც**. ადგილობრივმა გუბერნატორმა სთხოვა კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს, გვაცნობეთ, სად შეუძლიან ხალხს სათესლედ სიმინდის შეძენაო.

◆ წელს თიანეთის მაზრიდან **სამხედრო სამსახურში** გაუწვევიათ 458 ყმაწვილი; მიუღიათ 170 კაცი. ერთის წლის ვადით გაუნთავისუფლებიათ 33, ჰოსპიტალში გაუგზავნიათ—13, სხეულის ნაწილთა ნაკლულევანების გამო გაუნთავისუფლებიათ 23, სრულებით გაუნთავისუფლებიათ—31, არ გამოცხადებულა კენჭის ამოსაღებად 21 კაცი.

◆ სიღნაღის მაზრიდან და ზაქათალის ოლქიდან გაიწვიეს **სამხედრო სამსახურში** 1149 ყმაწვილი. მიიღეს 399, ერთის წლით გაანთავისუფლეს 85, სრულებით გაანთავისუფლეს—113, არ გამოცხადდა—96 ყმაწვილი.

◆ ახალციხის მაზრიდან წელს **სამხედრო სამსახურში** გაწვეული იყო 360 ყმაწვილი. მიიღეს 161. ერთის წლით გაანთავისუფლეს 45, საავადმყოფოში გაგზავნეს 12, სრულებით გაანთავისუფლეს 5. არ გამოცხადებულა კენჭის ამოსაღებად—36.

◆ უკვე ვწერდით, რომ **ხაგარეჯელებმა მთავარ-მართებლის** წინაშე შუამდგომლობა აღძრეს ხევის გამაგრების შესახებ. მთავარ-მართებლის განკარგულებით, ხევი დაუთვალიერებიათ საგუბერნიო ტეხნიკოს-ინჟენრებს. წყალს გაუფუჭებია სულ 150 დესეტინამდე ადგილი. ტეხნიკოსთა აზრით, ხევი გაზაფხულამდე უნდა შემაგრდეს ქვით სავსე გოდრებით, თორემ გაზაფხულზე წყალდიდობა დიდად დააზარალებს სოფელს.

◆ ნავთლუღში ქალაქმა იჯარით გასცა ადგილები. ბევრი დასახლდა იქ და **პატარა სოფელი გაშენდა**. ამ სოფლის დასათვალიერებლად დღეს შუადღისას მიემგზავრება ტფილისის ქალაქის გამგეობა, საფინანსო კომისიის სამი წევრი, ხმოსნები და სხვანი.

◆ ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსმა შუამდგომლობა აღძრა მთავარ სამმართველოს წინაშე, რომ **ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება ვერაზე** და საფოსტო განყოფილება დიდუბეში დაარსდეს მთავრობის ხარჯით, რადგან ქალაქის გამგეობა არავითარ სანუგეშო დახმარებას არა გვპირდებაო.

◆ 24 ნოემბერს ბაქო-ბალახანში **ხოლერით ავად გახდა** ხუთი კაცი, მოკვდა ერთი. როგორც ვწერდით, 21 ნოემბერს ბათუმში სამი კაცი გახდა საეჭვოდ ავად. გასინჯეს და ხოლერის ნიშნები მხოლოდ ერთს აღმოაჩნდა.

◆ სათოფსტო სადგურები ეგდახიდან ნუხამდის, რომელიც დღემდის კერძო პირების ხელში იყო, პირველ დეკემბრიდან გადადის მთავრობის ხელში.

◆ დღეს, 28 ნოემბრისთვის, დანიშნულია გერის წმ. ნიკოლოზის ეკკლესიას მრევლის კრება ახალ მნათის ასარჩევად ძველს სამსახურის გადა გაუგდა.

◆ მოგვივიდა **საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილი“**-ს ნოემბრის ნომერი. ნომერი ჩვეულებრივ შინაარსიანად არის შედგენილი. აქვე მოგვყავს შინაარსი ამ ნომრისა.

1 შეხეთ ერთი ამ ეშმაკსა! სურათი. 2. ორი კნუტი ლექსი—ზ. მღვიმელისა. 3. ორი თავგი—ტასოსი. 4. უსინათლო და თვალხილული (იგავი)—ალ. მირიანაშვილისა. 5. შენ პატარა ხარ და მე დიდი (ფრანგულიდან)—ან. წე—სა. 6. სხვისი ბედი (კორეიული ზღაპარი)—ს. ციციშვილისა. 7. ბელურა (ბრემიდან)—ან. წერეთლისა. 8. ია-ვარდის ფასი ორივე თვალია (ხალხური ზღაპარი)—ან. მანისა. 9 სახუმარო გასართობი და რებუსი. 10. *** ლექსი—დ. თომაშვილისა 11. სიავისთვის სიკეთე უგო—ეკ. გაბაშვილისა 12. კდრეია—ან. მანისა. 13. მეფე თაღლითფულასარ (ასურული ზღაპარი)—ალ. სარაჯიშვილისა. 14. აქტეონი (ოვიდიუსი)—ალ. ყუმისთაველისა. 15. ფიზიკური გეოგრაფია (პროფესორი გეიკისა—საინ—ინის. 16. [illegible] ანდაზები, გამოცანები, ხმა, [illegible], ზარადა და სხვ.

◆ დუშეთის მაზრის სოფელ ახალგორის საზოგადოებას შუამდგომლობა აღუძრავს საფოსტო განყოფილების დაარსების შესახებ. სოფელი სამის წლით სადგომს მუქთად უთმობს და პირველად საჭირო ხარჯსაც თითონ კისრულობს.

◆ მიწათ-მოქმედების სამინისტროს სამეცნიერო კომიტეტმა კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას გამოუგზავნა ქუთაისის სახალხო სკოლების ინსპექტორის მიერ გამოცემული წიგნაკი ფრინველების მოვლა-მოშენების დროს სახელმძღვანელოდ და აგრეთვე კალენდარი მებოსტნეობისა. სამეცნიერო კომიტეტი სთხოვს საზოგადოებას, ეს წიგნები სპეციალისტებს გადასცეს განსახილველად და მათი აზრი აცნობოს.

დღევანდელ ნომერთან ერთად ხელის მომწერთ ურიგდებათ **სურათებიანი დამატება № 274.** შინაარსი: „მხედართა ძველი სიმღერა“ და „ბაყაყის სიმღერა“,—ლექსები ვაჟა-ფშაველასი, „ოთხი დღე ბრძოლის ველზე“,—გარშინისა, თარგ. ინ. კანის მიერ; სურათები: საფრანგეთის ახალი სამხედრო მინისტრი მორის ბერტო, ომში დაჭრილნი გოგიაშვილი და ანჯაფარიძე, ინგლისელი მხატვარი პრიორი სტუმრად გენერალ ფუკუშიმასთან, ლიაოიანიდან მიმავალნი ასაფლავებენ ამხანაგებს, ოიამას სადგომი ლიაოიანში, სადაც წინად გენ. კუროპატკინი იდგა, და ორი კარიკატურა.

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

პეტერბურგი, 27 ნოემბერი. გადასწყდა გაიმართოს ხოლმე დრო-გამოშვებითი კრებები სახალხო სკოლების მასწავლებელთა.

გადასწყდა გაიგზავნოს შორეულ-აღმოსავლეთში მესამე ესკადრა.

ქუთაისის ქალაქის საბჭო

24 ნოემბერს საბჭოს კრება დაიწყო ქალაქის მოურავის მოადგილის გრ. ი. გველესიანის თავმჯდომარეობით. ხმოსანმა ბ. პ. მოსეშვილმა აღძრა საკითხი ხიდების ძველ მოიჯარადრის ჩილინგაროვის საქმის შესახებ, რომელმაც ქალაქს 5,600 მანეთი ხიდების საიჯარო გადასახადი არ გადასცა. ხმ. მოსეშვილმა უსაყვედურა გამგეობას ამ საქმის უყურადღებობა. თავმჯდომარემ უპასუხა, პეტერბურგიდან ქალაქის მოურავის დაბრუნებისთანავე დაკმაყოფილებული იქნებათ თქვენი სურვილიო. (როგორც საქმეებიდანა სჩანს, ხსენებულ ჩილინგაროვს არ გადაუხდია 5020 მან. 85 კაპ.; ამას უნდა გამოაკლდეს 1450 მანეთი, რომელიც მას ქალაქის გამგეობაში ჰქონდა შეტანილი იჯარის აღების დროს; ასე რომ—ამ ჟამად ჩილინგაროვზედ ითვლება 3,570 მან. 35 კაპ. ამ ფულში ქალაქის გამგეობას დაუჭერია მისთვის რეალურ სასწავლებლის შენობის იჯარით აღების დროს გირაოდ წარდგენილი ფული. ამ გვარად ქალაქის გამგეობას იმედი აქვს გაინაღდოს ჩილინგაროვზე დარჩენილი ფული).

წაკითხულ იქმნა ი. ლაღიძის განმარტება. ის უარს უცხადებს ქალაქის თითქმის ყველა მოთხოვნილებაზე, როგორც, მაგალითად: რომ უფასოდ დაუდგას ქალაქს კიდევ ორი ელექტრონის ფარანი; განათების მეთვალყურედ, რომ ცეცხლი არ გაჩნდეს, იყოლიოს სპეციალისტი; რომ ფარნები ქრებოდეს ნაშუაღამევის პირველ საათზე (ამის ნაცვლად წინადადებას იძლევა 1 აპრილიდან 1 ნოემბრამდის 12 საათამდის ანათოს ქურები, 1 ნოემბრიდან 1 აპრილამდის კი ღამის 11 საათამდის); არა თანხმდება გირაოდ წარუდგინოს ქალაქს 100 მანეთი და ფარნების დაქრობისათვის იხადოს ჯარიმა. საბჭომ უყურადღებოდ დასტოვა ლაღიძის განმარტება და დაავალა გამგეობას, მიიღოს ზომები, რომ ბ-ნმა ლაღიძემ სავსებით შეასრულოს საამშენებლო კომი-

ფელეტონი

პატარა ამბები

ამბავი იმის შესახებ, თუ რა მოუვიდა პეტრე ვახტანგაშვილს, რომელსაც უყვარდა ძილი, სძულდა ხმა-მაღლა ლაპარაკი და გამოდავება და მოსწონდა თავდაჭერილობა და მოთმინება

ვინ არ იცნობდა პეტრე ვახტანგაშვილს? და არ შეხვედრებოდათ იგი? ყველგან იყო, კერძო ოჯახებში, ქუჩაზე, ბაღში, თეატრში, საზოგადო კრებებზე, ყველგან აუცილებელი წევრი იყო. მაგრამ საკვირველი კია: პეტრე ვახტანგაშვილი ყველგან იყო, ხოლო არავინ ამჩნევდა არავის ხედავდა, ყურადღებას არავინ აქცევდა, ვისმე გვერდში რომ მჯდარიყო პეტრე, ისიც კი არ ხედავდა, და პეტრეს ნახვა რომ დასჭირდებოდა სხვაგან დაუწყებდა ძებნას. რადგან იჯდა, უძრავად იყო, ხმას არ იღებდა, სამს-ოთხს საათს ერთს ადგილას იქნებოდა და ხელსა და ფეხს ერთხელაც არ გაანძრევდა, სუნთქვასაც ისე ითქვამდა, განგებ უნდა დაგეგდოთ გულზე ყური, რომ რამე გეგრძნოთ.

სახეც ახირებული ჰქონდა. ძალიანაც რომ დაკვირვებოდით, ვერაფერს გაიგებდით: მხიარული იყო მისი სახე, თუ მოწყენილი. ფერზედაც ვერაფერს შეატყობდით—ავადმყოფი იყო თუ ჯანმრთელი. რომ იცინოდა, ვერ გაიგებდით, მისი სიცილი მართლა სიცილი იყო, თუ ტირილი. როდესაც ტიროდა, ტირილიც გაუგებარი იყო, გესმოდათ რაღაც გამოურკვეველი ხმა და ვერ მიხვდებოდით კი, რას გამოხატავდა ეს ხმა. მისი თვალები არასოდეს არ შემოგხედავდნენ პირდაპირ, ყოველთვის ფეხებში მიაჩერდებოდა. [illegible] როგორმე შე[illegible] თვალებში და ჩაუკვირდებოდით, ვერაფერს სიცოცხლის ნიშანს ვერ ამოიკითხავდით შიგ: ეგ თვალები უფრო მკვდარ ადამიანის თვალებს ჰგვანდნენ, ვიდრე ცოცხლისას.

სიარულის დროს ისე დადიოდა პეტრე ვახტანგაშვილი, რომ თითქოს ცდილობდა, ფეხი მაგრად არ დაედგა და ჩემი სიარულის ხმა არავინ გაიგონოსო. თვალით თუ დაინახავდით, თორემ ისე ძალიან ყურ მახვილი უნდა ყოფილიყავით, რომ გაგეგონათ იმისი ფეხის ხმა. მიდის მოწიწებით, მორიდებით, გამვლელ-გამომვლელთ ორ სამ არშინზე აძლევს გვერდს, ეშინია, რომ ვისმე შეეხოს. თუ გზაზე ბევრი ხალხია ერთად თავშეყრილი, იგი მეორე მხარეს გადავა, თუ სადმე მიეშურება, და თუ საქმე არა აქვს, მაშინ მოშორებით დადგება მარტოკა, წამოწევს წინ თავს და სულგანაბული ყურს უგდებს საზოგადოებას.

სხვები იცინიან, იხუმრობენ, ყვირიან, ხმაურობენ, პეტრე ვახტანგაშვილი კი ერთნაირად ხმა ამოუღებლივ დგას, ან ზის, ერთნაირი სახის გამომეტყველება აქვს თავიდან ბოლომდის. ლაპარაკი ძალიან ეზარება მაგრამ თუ ხმა ამოიღო, ისე დაბლა დაიწყებს ლაპარაკს, რომ ვერც კი გაიგონებთ კარგად იმის ნათქვამს. იმისი ლაპარაკი ადამიანის ლაპარაკს არა ჰგავს, სიტყვები გაურკვეველია, ან ბოლო არ ესმისთ ხეირიანად, ან დასაწყისი, აზრები შეუთანხმებელია ლაპარაკში გრძნობა არ ემჩნევა და ისე გგონიათ, თქვენ წინ ადამიანი კი არ ლაპარაკობს, არამედ რაღაც მანქანა ერთს ფრაზას რომ გაათავებს, შეჩერდება, უნდა გაიგოს, როგორი შთაბეჭდილება მოახდინა მისმა სიტყვებმა და რამე განსაცდელი ხომ არ მოელის. მაინც შიშის გამო ყოველი ფრაზის შემდეგ იან და იან უკლებს ხმას და ბოლოს და ბოლოს [illegible] ვერაფერს ვერ გაიგებთ იმის ნათქვამიდან

**

პეტრე ვახტანგაშვილი ყველაზე უფრო იმას ერიდებოდა, რომ რაიმე უსიამოვნება არ შეხვედროდა ვისმესთან. ამიტომ ერიდებოდა ყველაფერს და ყველას. მაგრამ ჩვენი ცხოვრება ისეა მოწყობილი, რომ უსიამოვნების თავიდან აცილება მარტო ერთ ადამიანზე არაა დამოკიდებული. თუ პეტრე გაურბოდა სხვებს, სხვები არ გაურბოდნენ იმას და არა ერთი და ორი უსიამოვნება შეახვედრეს. სხვათა შორის, ერთხელ—დიდი ხანი არაა მას შემდეგ—პეტრე გვიან დაბრუნდა სახლში თავის ნაცნობებისაგან. კარებთან რომ მივიდა და გასაღები ამოიღო ჯიბიდან, მიუახლოვდა მეეზოვე, დიდი ჯოხი ჰკრა ზურგში და ხმა მაღლა დაუყვირა რუსულად: „ჰეი, შენ, მანდ რას შვრები, სად მიეთრევი? ვინ მოგცა ნება, რომ ასე გვიან მოდიხარ სახლში“! შეაჩერა პეტრე და არ გაუშვა თავის ბინისაკენ. ბევრს ეხვეწა პეტრე, გამიშვი, ნუ მაწვალებ, ხომ კარგად მიცნობ, ვინცა ვარ, ორი წელიწადია ამ სახლში გცხოვრობ, ჩემს ბინაზე მივდივარ და სხვაგან ხომ არსად, მაგრამ მეეზოვემ თავისი დაიჟინა და პეტრე იძულებული შეიქნა, ისევ ნაცნობთან გაბრუნებულიყო და იქ გაეთენებია ღამე. პეტრემ არც ნაცნობს გაუმხილა ნამდვილი მიზეზი, თუ რატომ თავის სახლში არ დაიძინა, არც ვისმე სხვას. გაუცხადა, მეეზოვეს წინააღმდეგ ჩივილიც კი არც უფიქრნია: აყალმაყალის ეშინოდა და დავა-დარაბად არა ღირსო, ასე დაარწმუნა თავისი თავი, და ამის შემდეგ ღამ-ღამობით ყოველთვის ადრე ბრუნდებოდა სახლში.

მეორეჯერ კიდევ, შუაღამე იქნებოდა პეტრეს და იმის ოჯახობას ღრმა ძილით ეძინა, როცა შემოსასვლელ კარებს [illegible] სამჯერ ისე მაგრად შეარტყა [illegible], რომ მთელი სახლობა გადარეული ფეხზე წამოვარდა: ყველას ასე ეგონა, მიწა იძრა და სახლი ინგრევაო. ხმაურობა კიდევ განმეორდა სამჯერ და შემდეგ პეტრეს შემოესმა მეეზოვის დრიალი: კარი გააღეთ ჩქარა, მე ვარ და ჩვენი პოლიციელიო! შეშინებულმა პეტრემ აკანკალებულის ხელით გაუღო მათ კარი. შემოვიდნენ უცნობი სტუმრები, ახედ-დახედეს მკვდარივით გაფითრებულს მასპინძელს. „აა! —წამოიძახეს ორივემ ერთხმად:—სახლში ხარ? ჩვენ კი სხვაგან გვეგონეო“. მერე შეიხედეს ყველა ოთახებში და ნელა გამობრუნდნენ ისევ უკან. პეტრეს არც ახლა ამოუღია ხმა. ნაცნობებმა უთხრეს, მეეზოვისა და პოლიციელის საქციელი სრულიად უკანონოა, უჩივლე და დასაჯონო, მაგრამ პეტრე მაინც თავისას იმეორებდა: არა ღირს, გაჩუმება და მოთმინება სჯობიაო.

ამის შემდეგ ყოველთვის მოწიწებით და მორიდებით უკრავდა თავს მეეზოვეს და პოლიციელს, თუმცა არც ერთი არ აძლევდა სამაგიერო პასუხს. მეეზოვე როგორც კი სადმე დაინახავდა პეტრეს, უთუოდ ერთ-ორ მაგარ სიტყვას გადაისვრიდა იმისკენ. ისე აბუჩად ჰგდებდა აგდებული მეეზოვეს, რომ თუმცა ხუთ მანეთს აძლევდა თვეში საჩუქრად, მაინც ყოველთვის უყურადღებოდ სტოვებდა პეტრეს ყოველ კანონიერს მოთხოვნილებას: გაფუჭდებოდა სახლის სახურავი და ჩამოვიდოდა წვიმა, აღარ მუშაობდა წყლის კრანი, წახდებოდა ფეხები, შეშას მოჰპარავდნენ საწყობიდან,—ტყუილად მივიდოდა პეტრე მეეზოვესთან და შესჩივლებდა: წადით, მოახსენეთ მოურავს, რომ ეს და ეს შეაკეთოსო. მეეზოვე ზიზღით შეხედავდა და ერთს დაუყვირებდა მხოლოდ: „ишь ты, чего захотѣлъ!“ თუ უბედად წამოცდებოდა, მეორედ განუმეორებდა თხოვნას, მაშინ მეეზოვე სხვანაირად დაემუქრებოდა. შენ ლიბერალობას იწყებ და იცოდე დაგაბეზღებო! კარგად ხედავდა პეტრე, რომ თუ სახლის შეკეთებას თხოვდა სახლის პატრონს, რომელიც გამდიდრებული იყო პირობის ძალით,—აქ არაფერი იყო სალიბერალო და სარევოლიუციო, მაგრამ მაინც ეშინოდა და ისევ თავის ხარჯით გააკეთებინებდა, რაც გასაკეთებელი იყო. გააკეთებდა და ეს კიდევ არაფერი, მაგრამ მოხდებოდა ისიც, რომ იმისი ხარჯით გაკეთებულს დაიწუნებდნენ მეეზოვე და მოურავი, შარს მოსდებდნენ,—გაგიფუჭებია და ფული მოგვეცი, ხელახლა უნდა შევაკეთოთო—და პეტრეც ორჯერ იხდიდა ფულს იმის გასაკეთებლად, რაც იმის გასაკეთებელი არ იყო სრულებით.

კარგად ახსოვს პეტრეს: ახლად გადმოსული იყო ამ სახლში, სოფლიდან ორი საჟენი შეშა ჩამოუგდია, დააწყობინა საწყობში და ზედ მაგარი კლიტე დაადგა. მაგრამ არ გასულა ამის შემდეგ ერთი კვირა და მეეზოვემ და მოურავმა გაუტეხეს კლიტე და მთელი შეშა კაიტანეს და მერე ერთი ორად მიჰყიდეს ისევ პეტრეს, როდესაც ზამთარი დადგა და ყინვები დაიჭირა.

ერთხელ გაბედა პეტრემ და სახლის პატრონთან წავიდა საჩივლელად, მაგრამ მისგან ვერაფერ სამართალს ვერ ეღირსა: ასე უთხრა, ეგ მეეზოვეს და მოურავის საქმეაო. უკანასკნელებმა კი, რომ გაიგეს სახლის პატრონთან პეტრეს უჩივნია, კიდევ უფრო შეავიწროვეს და უარესი დღე დააყენეს. ნამეტურ ამის შემდეგ შესძულდა პეტრეს ყოველ გვარი ჩივილი, კიდევ უფრო დარწმუნდა, რომ ხმის ამოღებას და წინააღმდეგობას ვნების მეტი არაფერი მოაქვს. გადამტერებული მოურავი და მეეზოვე იმის ნებასაც არ აძლევდნენ, რომ სტუმრები მოეწვია; არ შეეძლო მის ბინაზე ვისმე ემღერა, ხმა მაღლა ელაპარაკნა. უბრალო სიცილიც აკრძალული ჰქონდა-

სიის დადგენილება ამ საკითხის შესახებ. ი. ი. პურადაშვილმა უსაყვედურა გამგეობას, რომ მან ლალიძეს ნება მისცა პირობის დაწერამდის გაენათებინა კერძო აბონენტების სახლები.

საბჭოს მოხსენდა რუსეთის სამთო რკინის გზების საზოგადოების შუამდგომლობა შესახებ იმისა, რომ უფასოდ დაუთმოს ლეჩხუმ-რაჭისაკენ გასაყვან რკინის გზის ლიანდაგისათვის საჭირო ქალაქის ადგილები. დამატებითს შუამდგომლობაში საზოგადოების წარმომადგენელი სთხოვს საბჭოს, რომ დახმარება აღმოუჩინოს კერძო მესაკუთრეთაგან ლიანდაგისათვის საჭირო ადგილების შეძენაში მით, რომ ჩამორთმეულ ადგილის ნაცვლად ქალაქის ადგილი მისცეს. გარდა ამისა, შეიძინოს საზოგადოების აქციები, რომელთა ნორმალური ღირებულება 250 მანეთია. ქალაქის გამგეობა იმ აზრისაა, რომ შუამდგომლობის ზოგიერთი ნაწილი შეწყნარებულ იქმნეს ამგვარად: თითო ვერსის მანძილზე დაეთმოს საზოგადოებას 10 დესეტინის ნაცვლად 5 დესეტინა, რადგან ეს სრულიად საკმაო იქნება ორი ლიანდაგისთვის (უკანასკნელ შემთხვევაშიაც ქალაქი უფასოდ უთმობს საზოგადოებას თითო ვერსზე 60,000 მანეთის ადგილს, სამ ვერსზე-კი 120,000 მანეთისას); ნება მიეცეს საზოგადოებას ისარგებლოს დათმობილს ადგილზედ აღმოჩენილ ქვითა და სილით; ნება მისცეს აგრეთვე რკინის გზისათვის საჭირო წყლის წასაყვანად ქალაქის ქუჩებზედ უფასოდ გაიყვანოს მილები, თუ რომ წყლისაყვანის კონცესია ქალაქის მიერ სხვას არ ექმნა გადაცემული. რაც შეეხება კერძო მესაკუთრეთა ქალაქის ადგილებით დაკმაყოფილებას საზოგადოების მიერ ჩამორთმეულ ადგილების ნაცვლად, ამას გამგეობა შეუძლებლად სთვლის; გამგეობა ნაადრევად სცნობს საზოგადოების აქციების შეძენასაც. თავ. კ. ბ. ლორთქიფანიძემ საჭიროდ სცნო, ქალაქი არ აუჩქარდეს ამ საკითხის გადაწყვეტას. საზოგადოება გვპირდება, რომ რკინის გზა გადაიყვანოს კავკასიის ქედზე და კავკავის რკინის გზას შეუერთოს, მაგრამ ჯერ-ჯერობით მხოლოდ ლაზეთამდის გავიყვანთო. ვინ იცის, იქმნება საზოგადოება მარტო ამ ნაწილის გაყვანით დაკმაყოფილდეს, რასაც ქუთაისისათვის ისე დიდი მნიშვნელობა არ ექმნება. იმის აზრით ეს საკითხი უნდა გადაეცეს ქალაქის საამშენებლო და საფინანსო კომისიას ყოველ მხრივ განსახილველად. წინადადება ერთხმად მიღებულ იქმნა.

ადესის ქალაქის მოურავმა სთხოვა ქუთაისისას, ქუთაისის საბჭომაც აღძრას შუამდგომლობა სრულიად რუსეთის ქალაქის მოურავთა კრების შესახებ. საბჭომ დაადგინა აღძრას ხსენებული შუამდგომლობა.

საფთიაქო აღმასრულებელ კომისიის წევრებად არჩეულ იქმნენ: ს. ი. ხერინოვი (თავმჯდომარედ), ფ. ა. რელიგიონი, ი. ი. ჩარექოვი, ი. პ. კოკოჩაშვილი, გ. ლ. ქორქაშვილი და ი. ი. პურადაშვილი.

საბჭომ ერთხმად დაადგინა: სთხოვოს სასკოლო კომისიის წევრად ნამყოფს დ. ა. ნაზაროვს, რომელმაც უარი განაცხადა ხსენებულს თანამდებობაზე, ისევ იკისროს კომისიის წევრობა.

პრესსა

„რუსკ. ვედომ.“-ი მშვენივრად ახასიათებს ფინლიანდიის პრესსის „გუშინდელ დღეს“, ესე იგი, როგორ იყო დღემდის შევიწროვებული ფინლიანდიის ჟურნალ-გაზეთობა. გაზეთის სიტყვით, ეს საქმე სრულიად მარტივად იყო გადაწყვეტილი:

> პრესსას პირდაპირ უბრძანებს—გაჩუმდით.—შემდეგ, აკრძალეს საუკეთესო გაზეთები, ზოგი შეაჩერეს, ზოგიც გააფრთხილეს; დააარსეს სათათბირო კომიტეტთა საცენზურო საქმეთა გამო, კომიტეტის წევრებად მიიწვიეს ისეთები, რომელთაც არავითარი კავშირი არ ჰქონდათ ლიტერატურასთან და რომელთაც მორჩილების გარდა არაფერი სწამთ; ზოგი რედაქტორი კიდეც განაძევეს ფინლიანდიიდან; წინანდელ ცენზორების მაგიერ კი დანიშნეს ახლები—ნამდვილი ბიუროკრატები; ბოლოს, ფინლიანდიის ბეჭდვითი გამგეობის სათავეში დააყენეს ადამიანი, რომელსაც არაფერი გაეგებოდა პრესსისა და მხოლოდ ის „ღვაწლი“ მიუძღვოდა, რომ ადგილობრივ რუსულ გიმნაზიაში რუსულ ენასა და სუფთა წერას ასწავლიდა მოსამზადებელ კლასების შეგირდებს. რაღა საკვირველია, რომ ასეთ ენერგიულ ღონისძიებათა შემდეგ ფინლიანდიის პრესსა მართლა გაჩუმდა და დამუნჯდა. აიღეთ მაშინდელი გაზეთები და სცადეთ იმათ შემწეობით ფინლიანდიის საზოგადოებრივ აზრის გაგება, თქვენ გაიგებთ მხოლოდ, რომ ფინლიანდელები ქეიფობენ, მდიდრდებიან, კოტრდებიან, იბადებიან, კვდებიან, კითხულობენ რომანებს და, თავის გასართობათ, თვალ-ყურს ადევნებენ გარეშე პოლიტიკას; მხოლოდ სრულიად გულ-გრილად ეკიდებიან თავიანთ საკუთარ, საშინაო, საჭირ-ბოროტო საქმეებს. ამ საქმეებზე, ყოველ დღიურ ვარამზე, გაზეთებში ერთი სიტყვაც არ იბეჭდებოდა.

რუსულ პრესსამ კარგად იცის ასეთი მდგომარეობა! მაგრამ აი, როცა კვლავ მიჰმართეს საზოგადოებას და მისცეს მას ნება თავისუფლის მსჯელობისა, მაშინვე დამტკიცდა ათასჯერ დამტკიცებული ჭეშმარიტება; ძნელი არ არის ადამიანი დააჩუმო, ამისათვის არც დიდი ჭკუაა საჭირო, არც განსაკუთრებული ტალანტი,—მაგრამ ასეთი ძალ-მომრეობა სასურველ მიზანს ვერ აღწევს. როცა ადამიანი დამუნჯებულია, ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ არაფერს არ ჰფიქრობს ან მოსწონს ყველაფერი, რასაც მბრძანებელი აკეთებს. მართალიც, აღმოჩნდა, რომ ფინლიანდელებს არ სძინებიათ, არამედ ფიქრსა და მზადებაში ყოფილან და, როცა მოხერხებული დრო დადგა, მტკიცედ დაჰკრეს წინანდელი რეჟიმი და სეიმში გაჰგზავნეს ენერგიული დამცველები ფინლიანდიის კონსტიტუციისა.

⁂

მართლ-მადიდებლობისაგან განდგომილ რუსეთის მწვალებლების ყოფა-ცხოვრების დინჯმა მკვლევარმა მწერალმა ა. პრუგავინმა საინტერესო მოხსენება წაიკითხა პეტერბურგის საგეოგრაფო საზოგადოებაში. პრუგავინმა განსაკუთრებით აღნიშნა ის გარემოება, რომ მთავრობა და სამღვდელოება დღეს სასტიკად ეკიდება მწვალებლებს და სრულებით არ იკვლევს, თუ რა მიზეზთა გამო გაჩნდა ეს მოძრაობა რუსეთში, რა აიძულებს მწვალებლებს მართლ-მადიდებლობისაგან განდგომას. მართლმადიდებლობა არ აკმაყოფილებს მწვალებლების სულიერ მოთხოვნილებას. ისინი თავისუფლად, დამოუკიდებლად იკვლევენ საღვთო წერილს, ეჭვის თვალით უყურებენ იმ წესწყობილებას, რომლის ღედა ბოძია მართლმადიდებლობა, სხვა გზებს ეძებენ ცხოვრებაში. არსებულ სარწმუნოებისაგან განდგომა იმას ნიშნავს, რომ რუსეთის გლეხი საზოგადოდ თავის მდგომარეობით კმაყოფილი არ არის; ყოველ მხრით შევიწროებული, იგი ამ შევიწროების მიზეზს იკვლევს და თავისუფალ სარწმუნოების შექმნა სწადიან.

რუსის მწერლებს ბევრი უწერიათ სექტანტების გარეგნულ ყოფა-ცხოვრების შესახებ, მაგრამ დინჯი დაკვირვებით არ გამოუკვლევიათ ამ მოძრაობის ძირითადი მიზეზები. ამის მიზეზი ცენზურაა, რომელმაც დუმილის ბორკილი დაადვა რუსის მწერლობას. საეკლესიო არხივები, სადაც მრავალი ფრიად საყურადღებო მასალა ინახება რუსეთის მწვალებლობის შესახებ, კერძო საერო პირთათვის დახურულია. რუსეთის მწვალებლობის მიზეზები დინჯად და დაწვრილებით გამოკვლეულია უცხოეთის მწერლობაში.

სამღვდელოება იმასაც არ აცხადებს, თუ რამდენი მწვალებელია მთელ რუსეთში,—ჰფარავს ჭეშმარიტებას, ამტკიცებს 2 ან 3 მილიონის მეტი არ იქნებაო, კერძო პირთა გამოკვლევით კი მწვალებელთა რიცხვი 14 მილიონამდე აღის.

დევნა-შევიწროებამ გაწვრთნა მწვალებლები. კავშირი დაბადა მათ შორის, სხვა-და-სხვანაირი გზები გაუხსნა ამ დევნის ასაცილებლად. გარეგნული ზომები ამ მხრივ უძლურნი არიან. თავისუფალ მკვლევარის შეზღუდვა მხოლოდ დროებით შეიძლებაო.

ასე დაასრულა პრუგავინმა თავისი ფრიად საყურადღებო მოხსენება, რომელსაც დამსწრე საზოგადოება მხურვალე თანაგრძნობით და ტაშის ცემით მიეგება.

თეატრი

106

დაბა ხაშური, კვირას, 21 ნოემბერს, ახლად დაარსებულმა ადგილობრივმა სცენის მოყვარულთა ჯგუფმა ბ-ნ მაქსიმოვსკისა და კვალიაშვილის გამგეობით გამართა წარმოდგენა რკინის გზის კლუბში სცენის სასარგებლოდ. ითამაშეს სამი ვოდევილი: რუსულად „პრიბანი დენ“, ქართულად „ტუზა ზაპეტაია“, თავ. ერისთავისა, მალორასიულად „ბუკინისა“. ბოლოს გამართა მალორასიული ხორის სიმღერა და ცეკვა. მონაწილეობას იღებდნენ ქ-ნი მაქსიმოვსკაია, ბულაკოვსკაია, ნეიმანი, ბ-ნი ბორეცკოვი, ნეიმანი, ანდრეევი, ბოგოსლოვსკოვი, წილკნელი, დოდიანი, მზეჭრა, ბელაშოვი, ხრისტოფოროვი, ბულაკოვსკი. წარმოდგენამ მშვენივრად ჩაიარა, ხალხიც ბლომად დასწრო.

წარმოდგენამ საერთოდ კარგად ჩაიარა. ეტყობა, ჯგუფი ძალიან ცდილა. განსაკუთრებით ქ-ნი მაქსიმოვსკაია მოეწონა საზოგადოებას. როგორც ისმის, ამ ახალ ჯგუფს აზრად აქვს, საქველმოქმედო წარმოდგენები მართოს ხაშურში.

ა. დგვიანიძე

ა. ნ. პიპინი

დეპეშამ სამწუხარო ამბავი მოიტანა: გარდაიცვალა ცნობილი მწერალი ა. ნ. პიპინი. განსვენებული 71 წლის კაცი იყო და სულ ბოლო დრომდე დაუღალავად მუშაობდა და სწერდა. სწავლა პიპინმა პეტერბურგის უნივერსიტეტში მიიღო და გაათავა ისტორიო-სიტყვიერების ფაკულტეტი. განსვენებული უმთავრესად ისტორიკოსი იყო და პირველი იმისი შრომა 1852 წელს დაიბეჭდა სამეცნიერო აკადემიის გამოცემაში. პირველი საჟურნალო წერილი 1853 წელს დაიბეჭდა „ოტეჩ. ზაპის.“-ში. საზოგადოდ ამ ცნობილ ჟურნალში განსვენებული მხურვალე მონაწილეობას იღებდა. 1858 წელს გამოსცა რუსულ მოთხრობის ისტორია. 1858 წელს პიპინი საზღვარ-გარედ გაგზავნეს და დაბრუნებისას პროფესორად დანიშნეს. კითხულობდა საყოველთაო ლიტერატურის ლექციებს. 1861 წელს უნივერსიტეტში შემოიღეს ახალი წესები, რასაც სტუდენტთა არეულობანი მოჰყვა. ამ წესების გამო სამსახურს თავი გაანებეს განსვენებულმა პიპინმა, კაველინმა, სპასოვიჩმა, სტასიულევიჩმა და უტინმა. შემდეგ პიპინი თანამშრომლობდა (ერთ ხანად რედაქტორადაც იყო) „სოვრემენნიკ“-ში. რამდენისამე წლის შემდეგ „სოვრემენნიკ“-ი დაიკეტა და პიპინმა თარგმნას მიჰყო ხელი. პიპინის მიერ ან იმის რედაქტორობით გადაითარგმნა ისტორიული თხზულებანი შლოსერის, გეტნერის, დრეპერის, ლეკკის, ტენის, ბენტამისა და სხვა გამოჩენილ მწერლების.

„ვესტნიკ ევროპი“-ს დაარსებიდან განსვენებული მხურვალე მონაწილეობას იღებდა ამ ჟურნალში. მთელ 30 წლის განმავლობაში იშვიათი წიგნი გამოსულა ამ ჟურნალისა, რომ განსვენებულის რამე წერილი არ ყოფილიყოს შიგ. საზოგადოდ, მთელს რუსეთში მეორე არ მოიპოვებოდა ისეთი ნაყოფიერი მწერალი, როგორც პიპინი იყო. მარტო ჩამოთვლაც-კი შეუძლებელია ყველა იმისა, რაც პიპინს დაუწერია. ბევრს სწერდა განსვენებული სლავიანთა ერების ლიტერატურის შესახებ. რუსეთში ბევრი მწერალი იყო და არის სლავიანთა გაერთიანების, ვითომდა ერთ ერად გადაქცევის მქადაგებელი. განსვენებული პიპინი დიდი წინააღმდეგი იყო ერთის მიერ მეორის ჩაყლაპვის და განადგურებისა.

ა. პიპინის უფრო ცნობილ თხზულებებს ეკუთვნის: „Обзоръ исторіи славянскихъ литературъ“, „Исторія славянскихъ литературъ“, „Обществ. движеніе въ Россіи при Александрѣ I“, „Бѣлинскій, его жизнь и переписка“, „Исторія русской литературы“ და მრავალი სხვა.

მე-70 წლების დასაწყისში განსვენებული სამეცნიერო აკადემიამ თავისს წევრად აირჩია, მაგრამ მაშინდელი საერო განათლების მინისტრი გრაფი ტოლსტოი დიდი წინააღმდეგი გახდა ამისა. პიპინმა თვითონ განაცხადა უარი წევრობაზე, რათა აკადემია უხერხულ მდგომარეობაში არ ჩავარდა. 26 წლის შემდეგ, 1897 წელს, აკადემიამ ხელ-ახლა აირჩია პიპინი თავის წევრად.

სასამართლო

(დასასრული *)

ეს საქმე ტფილისის ოლქის სასამართლომ განიხილა 26 ნოემბერს. გეგეჭკორსა და მამინაშვილს იცავდნენ ნაფიცი ვექილის თანაშემწენი მახარაძე და ჩიმიშკიანი. ბრალდებულნი სულ ახალგაზდები არიან. გეგეჭკორი სრული წლოვანების-კი არ არის. სამივე ბრალდებულმა განაცხადა, რომ ამ საქმეში დამნაშავენი არა ვართო. სასამართლომ შემდეგ გამოიწვია მოწმენი. უმთავრესმა მოწმეებმა ჩიქოვანმა და კუდავამ იგივე სთქვეს, რაც გამოძიების დროს. ვექილებმა საერთოდ აღნიშნეს, რომ ბრალდებულთ სრულიადაც არა ჰქონიათ აზრად თავდასხმა და გაძარცვა. ასეთის ბოროტების განმზრახველი ასე გულ უბრყვილოდ არ მოიქცეოდა. როგორც ეტყობა, ბრალდებულნი უადგილობა-უფულობას შეუწუხებია და თავის მეზობლის, შეძლებულ და კარგ მდგომარეობაში მყოფ კაცისათვის მიუმართავთ, მხოლოდ მათ თავიანთი სათხოვარი უკმეხად გამოუთქვამთ. ბრალდებულთ პროკლამაციები წაუკითხავთ, ეხლანდელ ცხოვრების ფეხის ხმას აჰყოლიან, გაუგონიათ, შეძლებულმა ღარიბს დახმარება უნდა გაუწიოსო, და ამნაირ აზრებით გატაცებულთ მოუთხოვნიათ ექიმისათვის შემწეობა. გეგეჭკორი, როგორც ექიმიც დაჰპირებია, მეორე დღეს სარეკომენდაციო წერილის მისაღებადაც მისულა. ყაჩაღობის ჩადენის მსურველი ასე გულუბრყვილოდ არ იქცევა. ბრალდებულნი ისედაც დაისაჯნენ ხუთი-ექვსის თვით საპყრობილეში ყოფნით და გთხოვთ, გაამართლოთო. თავის უკანასკნელ სიტყვაში ბრალდებულმა ალექსი გეგეჭკორმა სთქვა: ჩიქოვანი მეზობელია ჩვენი. მამიჩემის სახლიდან მაგისი სახლი სულ 2 ვერსით არის დაშორებული. რადგან ხელმოკლებისა გამო სოფელში არ მედგომებოდა, მოვატანე ტფილისს და აქ შევუდექი ადგილის ძებნას. ვის არ მივმართე, ვის არ ვსთხოვე, მაგრამ საქმე მაინც ვერ ვიშოვნე. უპროტექციოდ არსად მიიღეს. საქვრთამო ფულიც არა მქონდა. დიდხანს ვიყავ ამ მდგომარეობაში. ისე შემომეხა ტანისამოსი და ფეხსაცმელი, რომ ნამდვილს მაწანწალას დავემსგავსე. ბოლოს წაველი ჩიქოვანთან, როგორც ჩვენის კუთხის კაცთან, ამასთან შეძლებულთან. შემთხვევით ამხანაგებიც შემხვდნენ. მამინაშვილი თავის სახლში მიდიოდა და როცა ვუთხარი, ექიმთან მინდა შევიდე და შემწეობა რამე ვთხოვო მეთქი, ისინიც წამომყვნენ. ექიმთან ავედი. რადგან ავადაც ვიყავ, ჯერ თავი გავასინჯვინე. მე ავად ვიყავ და არ ვიცი, ექიმმა გაიგო თუ არა ჩემი ავადმყოფობა. მე რომ ავად ვიყავ, ეს კარგად იციან მეტეხის ციხეში, სადაც ერთი თვე ექიმები თავს მადგნენ. ექიმმა ყელი გამისინჯა და მითხრა, ტანთ გაიხადეო. მე შემრცხვა, რადგან პეპუიანად ვიყავ და პერანგიც არ მეცვა. როცა გული გადავიწიე, უბეში ექიმმა ხანჯალი შემამჩნია და შედგა. ექიმს ვუთხარი ფეხთ არ მაცვია, ასე შეწუხებული ვარ, მიშველე რამე; თქვენ ვალდებული ხართ შემეწიოთ, მესამე დღეა არა მიჭამიარა და და წერილიც მიმიწერეთ ვისთანმე, ეგებ ადგილი მომცენ მეთქი. იარაღი არც მე და არც მამინაშვილს არ მოგვიღერია და არც დავმუქრებივართ. იარაღს მუდამ ვატარებდი, რადგან [illegible] ტფილისის ცხოვრების ზნე-ჩვეულებანი [illegible]. ექიმს [illegible] საათი ჰქონდა, ოქროს ბეჭდები, ფული სახლშიაც ექნებოდა, შემეძლო წამეღო რამე, მაგრამ მე აზრადაც არ მომსვლია ავ-კაცობა. მეორე დღეს შეპირებისამებრ მივედი. ექიმმა ფოსტა-ტელეგრაფის ინჟენერს ივანოვთან ბარათი მიმიწერა და სამსახურში ჩასარიცხავად პროტექცია გამიწია. დარწმუნებული, რომ მე არავითარი ბოროტ-მოქმედება არ ჩამიდენია, დამშვიდებული ვიყავ ერთ ჩემ ამხანაგის ბინაზე, ამ დროს გაიღო კარი, შემოვარდა პოლიცია და წამიყვანესო... აქ სასამართლომ შეაჩერა ბრალდებული. შემდეგ სხვა ბრალდებულთ გამოჰკითხა. ოლქის სასამართლომ განაჩენი გამოაცხადა გუშინ, 27 ნოემბერს. სასამართლომ დამნაშავედ იცნო ბრალდებულნი და გადაუწყვიტა ალექსი გეგეჭკორს—5 თვითა და 10 დღით საპყრობილეში დაპატიმრება, ხოლო მამინაშვილსა და ხელაიას განსაკუთრებულ უფლების ჩამორთმევა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში 1 წლით გაგზავნა. ბრალდებულნი თანხმანი არ გახდნენ ოლქის სასამართლოს განაჩენისა და გადასწყვიტეს განსაჩივრება პალატაში.

II

გენერალის ლისოვსკისა და ვასილ ქიქინაძის მოკვლა.

ჩვენს გაზეთში უკვე აღნიშნული იყო ბორჩალოს მაზრაში გენერალ-მაიორის ლისოვსკისა და იმის დარაჯის ვასილ ქიქინაძის მოკვლის ამბავი. ამ საქმის გამო პასუხის გებაში მისცეს ყაზახის მაზრის მცხოვრები გლეხი მარუტა აკოფოვი. ეს საქმე ტფილისის ოლქის სასამართლომ განიხილა 26 ნოემბერს. აკოფოვი წინად გენერალ ლისოვსკის დარაჯად ჰყოლია თავის მამულში. გენერალს იმის მაგიერ ვასილ ქიქინაძე დაუქირავებია და 14 მარტს იმასთან ერთად ჩასულა მამულში, სადაც აკოფოვი მცირე წლოვან ვართან მისკარიანცთან ერთად იყო. 15 მარტს ახტალის მონასტრის ბერებს უნახავთ გვამები გენერლისა და ქიქინაძისა. პოლიციას შეუპყრია ჯერ ვართან მისკარიანცი, რომელიც ყველაფერში გამოტეხილა. გენერალი ლისოვსკი,—ასე განაცხადა სასამართლოში ჩვენების დროს მისკარიანცმა,—მამულში ამოვიდა 14 მარტს. ჩაის დალევის შემდეგ მასთან შევიდა აკოფოვი და როცა უკან დაბრუნდა, მითხრა, გენერალმა სამსახურიდან დამითხოვა და 50 მან. დამიჭირა, რადგან ცხენი მოუკვდა და მაბრალებსო, აკოფოვი ამას შემდეგ წავიდა არამიანცის მამულში ადგილის სათხოვნელად და როცა დაბრუნდა, შენიშნა ქიქინაძე გენერლის ოთახიდან გამოვიდა და მეორე ოთახში შევიდა. აკოფოვი მოვიდა და ქიქინაძეს კარები გამოუკეტა. იქიდან გამოსვლა აღარ შეიძლებოდა. შემდეგ შემობრუნდა და გენერალს ჩხუბი დაუწყო. გენერალს გული მოუვიდა და აკოფოვს თავში ჯოხი დაარტყა. აკოფოვმა იძრო ხანჯალი. გენერალი გამოვარდა ოთახიდან და ქვედა სართულისკენ გაემართა. აკოფოვი ამოღებულ ხანჯლით დაეწია და თავში დაჰკრა ხანჯალი გენერალი უფრო ჩქარა და ყვირილით ჩავიდა ძირს, მაგრამ აკოფოვმა ჩაჰკრა ხანჯალი და იქვე მოჰკლა. აკოფოვმა გენერალს წაღები გახადა და ფეხით შეათრია ქვედა სართულის ოთახში. გვამს ბალიშები დააყარა, გადაასხა ნავთი და ცეცხლი წაუკიდა. გვამს ცეცხლი არ ეკიდებოდა, მაშინ აკოფოვმა გამოიტანა ეზოში და ზედ ხეწარი გადააფარა. აკოფოვი ახლა ქიქინაძესთან ავიდა. ბევრი ეწვალა, მაგრამ კარები ვერ გააღო. მაშინ გადმოიღო ბერდანა და კარებს ორჯელ ახალა. ქიქინაძემ გააღო ფანჯარა, მაგრამ ამ დროს აკოფოვმა ესროლა ტყვია და დაჭრილი ქიქინაძე უკანვე გადააგდო, შევიდა, დაჭრილს ხანჯალი ჩაჰკრა გულში და იქვე მოჰკლა.

დაჭერის დროს აკოფოვს წინააღმდეგობა გაუწევია პოლიციისათვის და ბერდანით დაჭრა ნაჩმებია მაზრის უფროსისა, მაგრამ მალე იარაღი აუყრიათ. აკოფოვი არ გამოტყდა, თავი დამნაშავედ არ იცნო და სთქვა, მე და გენერალს ფულის გამო ჩხუბი მოგვივიდა, მომცვივდნენ ისა და ქიქინაძე და მოგერების დროს შემომაკვდნენო. აკოფოვს მიესაჯა ყოველისავე უფლების ჩამორთმევა და კატორღაში 15 წლით გაგზავნა.

---

*) იხ. „ცნ. ფურც.“ № 2682.

ნდა. ორი სამი კაცი რომ სწყვედა პეტრეს, მოურავი და მეეზოვე მაშინვე თავს დაეცემოდნენ და პოლიციაში მიათრევდნენ.

საკვირველი ის იყო, რომ ის სახლი, რომელშიაც დღეს პეტრე სცხოვრებდა, როგორც პაპისაგან გაუგონია, მათი, გახტანგაშვილების ყოფილა წინად და რადაც ეშმაკობით და მატყუარობით ჩაუგდია ხელში ეხლანდელს პატრონს... ასე ჰქონდა გაგონილი, ეს იცოდა პეტრემ, მაგრამ ამაზე ერთხელაც არ დაუძრავს კრინტი. ისიც კი ეშინოდა, რომ თავისთვის დაიწყებდა ხოლმე ამის შესახებ ფიქრს, ეშინოდა, რომ არავის გაეგო მისი ფიქრი და განსაცდელში არ ჩავგდო. როდესაც ასეთი ფიქრი გაუვლიდა თავში უნებურად, ერთი საყვარელი საშუალება ჰქონდა—ეს იყო ძილი.—რა დროც უნდა ყოფილიყო მაშინ, პეტრე უცბად გაიხდიდა ტანს, შეგორდებოდა ლოგინში, გადაიფარებდა თავზე საბანს, თითქოს რაღაცას ემალებაო, და მიეცემოდა ხანგრძლივ ძილს. ამ საშუალებას საზოგადოდ პეტრე ხშირად მიმართავდა: როდესაც რამე უსიამოვნება, უსამართლობა, შეურაცხყოფა შეხვდებოდა, მაშინვე ლოგინისაკენ გაეშურებოდა. გამოიღვიძებდა და თუ უსიამოვნო რამ მოაგონდებოდა კიდევ, მეორე გვერდზე გადატრიალდებოდა და ხელახლა დაიძინებდა. ასე წარმოიდგინეთ, როდესაც ვინმე გაუხდებოდა ავად სახლში, მაშინაც მოსვენებას და ხსნას ძილში ჰპოვებდა.

„მხოლოდ ძილი და ძილი, ძილია ერთად ერთი მანუგეშებელი, მხსნელი მეგობარი ადამიანისაო“ ხშირად ფიქრობდა პეტრე და თუ ვინმე უბედურებას, გაჭირვებას შესჩივლებდა, იმასაც ასე ეტყოდა: დაიძინეო. ამ სიტყვებით ანუგეშა მან ერთი ნაცნობი, რომელსაც შვილი მოუკვდა და სასოწარკვეთილი მწარე ცრემლებს ღვრიდა.

* *

ოჯახშიაც ასე ხმა ამოუღებლივ ითმენდა ყველაფერს პეტრე გახტანგაშვილი. ჯერ ცოლიც ვერ ითხოვა ისეთი, როგორიც უნდოდა ოლგა,—ასე ეძახდნენ იმის ცოლს—შორიდან ძალიან მოეწონა, მაგრამ ახლოს რომ გაიცნო, ჭკუაში აღარ დაუჯდა იმისი ხასიათი და ზნე ჩვეულება და არ ფიქრობდა მაზე ჯვარის დაწერას. მაგრამ ერთს საღამოს ოლგას მამამ და ძმებმა რაღაც ვითომდა დიდი საქმისთვის დაიბარეს სახლში, შეიყვანეს ოთახში ოლგასთან და რევოლვერით დაემუქრნენ: ახლავე დანიშნე და ერთს კვირაში ჯვარი დაიწერე, თორემ ცოცხალი არ გადაგვირჩებიო. პეტრესთვის, რასაკვირველია, რევოლვერიც არ იყო საჭირო, უბრალო მუქარა კმაროდა. მაშინვე მოიხსნა თავისი ოქროს საათი და გადასცა ოლგას ნიშნად და ერთის კვირის შემდეგ ჯვარიც დაიწერა.

დაქორწილებამ მთლად აურია ცხოვრება პეტრეს. ცოლი და ქმარი სრულიად ვერ შეეთვისნენ ერთმანეთს. ცოლი მეტის-მეტი ქარაფშუტა ქალი, მუდამ ქეიფსა და ლხინში ატარებდა დროს, თავის ოჯახში იშვიათად ნახავდით, ოჯახისათვის არ ზრუნავდა, ქმარი ეზარებოდა და უცხო კაცების დასდევდა. შვილები რომ ეყოლა, ერთიც კი არ გაუზრდია თავის ხელით. რუსის „ნიანიებს“ ჩაუგდებდა ხელში ბავშვებს და შიოდათ, ავად იყვნენ, თუ როგორ იზრდებოდნენ ამის დარდი არა ჰქონდა პეტრეს ცოლს. ფული არ აკლდათ, მაგრამ მათ სახლში დიდი უსუფთაობა იყო ყოველთვის, ყველაფერი მანგრეულ-მონგრეული იყო, საჭმელი კეთდებოდა, მაგრამ უგემურად, იატაკებს თითქმის არავინ წმენდდა, სტოლი და სკამები გამტვერიანებული იყო, ოთახებში დახშული ჰაერი იდგა, ზაფხულში ფანჯრებს არავინ აღებდა და ადამიანს სული შეუწუხდებოდა ცხელ და მძიმე ჰაერისაგან, სამაგიეროდ ზამთარში სახლში ძლიერ ციოდა, ფეჩებში ცეცხლს ანთებდნენ, მაგრამ ისე უხერხულად, რომ ოთახებს ვერ ათბობდა. პეტრე პირველად კი აქცევდა ყურადღებას ასეთს უწესრიგობას, ცოლსაც-კი ჰკითხა ბარე ორჯერ, გვიან-გვიან რატომ ბრუნდები სახლშიო, მზარეულსაც უსაყვედურა, დღეში მანეთს ხარჯავ ხორცისათვის და შენი გაკეთებული საჭმელი-კი ძაღლს არ გეჭმევაო, მაგრამ ცოლმა პასუხიც არ აღირსა და მზარეულმა ნაყიდი ხორცი ერთს დილას კინაღამ ცხვირში მიარტყა, და ამის შემდეგ ხმა არ ამოუღია; გლახა სადილი თუ ექნებოდა, სადილს თავს დაანებებდა და დაიძინებდა; ცოლი „სასეირნოდ“ წავიდოდა და მაშინაც ძილში ივიწყებდა დარდებს.

პეტრეს სამი შვილი ეყოლა, ერთი ადრე მოუკვდა, უპატრონობისა გამო გაცივდა და ანთება მოუვიდა, ორი კი დარჩა—ერთი ვაჟი და მეორე ქალი. ორივე უხეიროდ იზრდებოდა. დედას ხომ არ ჰქონდა მათი დარდი და არა, მამასაც არ შესწევდა იმის ძალა, რომ შვილები აღეზარდა. პატარაობიდანვე უკუღმართ გზაზე დააყენა, ჯერ ქართული არ ჰქონდათ დასწავლილი ბავშვებს, რომ უცხო ენა დასწყებინა. დაიქირავა ვიღაც უცხო აღმზრდელი, რომელმაც უცხო სიტყვების ზეპირებით ტვინი გამოულაყა ბავშვებს, მშობლიურ არაფერს მააკარა, აძაგებდა და ზიზღით იხსენიებდა ყველაფერს, რასაც-კი მათი სამშობლოს ელფერი და ხასიათი ჰქონდა; ისე არაფერს ეტყოდა ბავშვებს, რომ ზედ ქართველებისა და მათი ქვეყნის გინება არ მიეყოლებინა: ქართველებს ველურებს ეძახდა, იმათ ენას—ძაღლის ენას, მათ სარწმუნოებას—ურჯულოებას, მათ წარსულს—გარეგნილების მორევს. ბავშვების ტვინი ერთიანად აირია, ავის და კარგის გარჩევა აღარ შეეძლოთ, ვინ იყო მართალი და ვინ მტყუანი არ გაეგებოდათ, არ იცოდნენ, ვინ შეეყვარებინათ და ვინ შეეძულებინათ, დაეკარგათ უფრო დიდ თავმოყვარეობა, არაფრის ხალისი არ ჰქონდათ, თუ რასმე აკეთებდნენ, მხოლოდ ძალ-დატანებით; ხედავდნენ, როგორ უდიერად ეპყრობოდა პირში მამას იმათი აღმზრდელ-მასწავლებელი, რომელმაც ოთახიდანაც-კი გამოაგდო პეტრე, როდესაც უკანასკნელმა საწინააღმდეგო რამ უთხრა. ბავშვები ოჯახში რომ არეულ-დარეულობას, უმოქმედობას, თავისი თავის უპატივცემულობას, დაჩაგრულობას, უპატიოსნებას ხედავდნენ, თვითონაც ასე იზრდებოდნენ. იმას ცდილობდნენ, როგორმე მოეტყუებინათ მასწავლებელი, რომელიც ჭირივით სძაგდათ. მასწავლებლისაგან ერთხელაც არ გაუგონიათ ტკბილი, მეგობრული სიტყვა; მასწავლებელი ისე ეპყრობოდა იმათ, როგორც მტერი, და, რასაკვირველია, თვითონაც არ იყვნენ მეგობრები...

* *

პეტრე გახტანგაშვილი ქალაქში ცხოვრობდა, სახელმწიფო სამსახურში იყო, მაგრამ სოფელშიაც ჰქონდა კარგა დიდი მამული, ოთხას-ხუთასი დესეტინა სახნავ-სათესი მიწა, ორი ვენახი და ამდენიმე მშვენიერად მოწყობილი ეზო სახლ-კარით. მამული მდიდარი იყო, მაგრამ მოუვლელობისა და უპატრონობისა გამო არამცთუ არაფერს შემოსავალს არ აძლევდა პეტრეს, კიდევ ზედ ადებდა პეტრე ყოველ წლიურად რამდენსამე ასს მანეთს თავის ჯამაგირიდან. ეს კიდევ არაფერი, ამას ადვილად შეურიგდა ყველაფრის ამტანი პეტრე, მაგრამ საქმე ის იყო, რომ ძალიან დაიჯაბნეს მეზობლებმა, ვენახში გზა არ დაუყენეს, ეზოში ხეები აუჭრეს, ღობეები დაურღვიეს, ნათესს უფუჭებდნენ. ჩავიდოდა ხანდახან პეტრე სოფელში, ნახავდა, როგორ აოხრებული იყო ყველაფერი, ჰკითხავდა მიზეზს მოურავს, გააქნევ-გამოაქნევდა თავს და ისევ გამობრუნდებოდა ქალაქში. ბოლოს მეზობლები ისე გათამამდნენ, რომ დაიწყეს პეტრეს ადგილების მითვისება: ერთმა ერთი ნაჭერი მოჰკლიჯა, მეორემ—მეორე, ასე ერთს წელიწადს, მეორეს, მესამეს და პეტრეს მამული ძალიან დაპატარავდა. წინად თუ პირველი მემამულე იყო პეტრე თავის სოფელში, მერე რამდენიმე დესეტინა-და შერჩა და ისიც რაც უარესი მიწა იყო. ყველაზე მეტი მიწა ჩაიგდო ხელში მოურავმა, თუმცა ძნელი გამოსაცნობი იყო,—რა საბუთით. პეტრემ რომ უთხრა ერთი ნაჭერი მიწის შესახებ: ეს ჩემი არისო,—მოურავმა უპასუხა: არა, ეს ჩემი არისო, და პეტრეც დაკმაყოფილდა ამით. ბოლოს და ბოლოს პეტრემ სრულიად მიატოვა სოფელი და აღარც ჰკითხულობდა: ჰქონდა იქ რამე თუ არა...

* *

ასე ცხოვრებდა პეტრე გახტანგაშვილი.

განვლო რამდენმამე წელიწადმა კიდევ. პეტრე სამსახურიდან გამოაგდეს, სოფელში დაჰკარგა, რაც რამ გააჩნდა. ცოლმა გაჰქურდა და გაიქცა „სატრფოსთან“ ვაჟი ოფიცრად შევიდა და გადაიკარგა სადღაც რუსეთში, ქალიც ერთ რუსის მოხელეს გაჰყვა ცოლად.

დარჩა პეტრე სრულიად მარტოდ, უპატრონოდ, უსახლკაროდ. დღეს ფეხშიშველი, დაფლეთილ ტანისამოსში დაეხეტება იგი ქუჩა-ქუჩა. სახე უფრო გამოთაყვანებული აქვს, თვალები გაშტერებული. არც ლაპარაკობს, არც იცინის, არც სტირის. თუ ვინმე ლუკმას გადაუგდებს, სჭამს, თორემ არის ისე მშიერი. არავინ არც იცის, სად იძინებს და სად ჰპოულობს მოსვენებას...

ხიტუვა

ღამის დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"
27 ნოემბერი

დაკარი, 27 ნოემბერი (ჰავასი). მოვიდა რუსის კრეისერი „ურალ"-ი.

კაპშტადტი. 26 ნოემბერი („რეიტერი"). 20 ნოემბრიდან გერმანიის სამი ნახშირის გემი ელის ბალტიის ესკადრას კუნძულ შარკთან, ანრა პეკვენის ბუხტში.

ლონდონი, 26 ნოემბერი. ნოგის არმიაში მყოფი რეიტერის კორესპონდენტი იუწყება, რომ იაპონელები სრულის პატივისცემით ეკიდებიან მაღალ გორაზე დატყვევებულ რუსის ორ აფიცერს. რუსებიც ისე ექცევიან დატყვევებულ იაპონელ აფიცრებს, რაიც მოწმობს, რომ ორივე მხარე მოწადინებულია მოსპონ გამწვავებული მტრული გრძნობა, რომელმაც უკანასკნელ ბრძოლების დროს იჩინა თავი.

ვაშინგტონი, 26 ნოემბერი („რეიტერი"). ტოკიოში მყოფი ამერიკის ელჩი იუწყება: ამერიკის კონსული ნაგასაკიდან მატყობინებს, ყველა გემები გააფრთხილეს, ოც მილზე უფრო ახლოს არ უნდა მიხვიდეთ პესკადორის კუნძულებთან, რომლებიც მდებარეობენ გაშლილ ზღვაში, ფორმოზას დასავლეთითაო.—ხმაა, სეულში სიმაგრეებს აშენებენო.

ტიანძინი. 26 ნოემბერი („რეიტერი"). ოკუ სამი დღის განმავლობაში გამწვავებით უშენდა ყუმბარებს რუსებს და აიძულა რუსები დაეტოვებინათ გუშანი, რომელიც მდებარეობს ლიაოიანის ჩრდილოეთით, 6 მილის მანძილზე. რუსებმა დაიწიეს გამაგრებულ სოფლისკენ, ჩრდილოეთ-დასავლეთისკენ, 8 მილის მანძილზე. რუსებმა შემდეგ ყუმბარები დაუშინეს იაპონელთა პოზიციებს და 23 ნოემბერს ცეცხლი წაუკიდეს ნავთის საწყობებს. ცეცხლი 24 ნოემბრამდის არ ჩამქრალა. ამბობენ, იაპონელებმა 5 ათასი კაცი დაჰკარგესო.

პეტერბურგი. უქვეშევრდომილესი დეპეში გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინისა, 26 ნოემბრს. „25 ნოემბერს ღამე მოხალისეთა რაზმი, პოდპოლკოვნიკის ხიტროვის ხელმძღვანელობით, უეცრად თავს დაესხა იაპონელთა პოზიციას ბანიუპუზას სამხრეთით. მოხალისეებმა შტიკებით უკუაქციეს დარაჯები და გაჰფანტეს იაპონელები. რუსები ერთი ვერსის მანძილზე გამოედევნენ მტერს და დაატყვევეს 11 კაცი, რომელთა შორის 4 დაჭრილია. რუსებს დაუჭრეს ორი სალდათი. იმავე ღამეს იაპონელებმა ორჯერ მიიტანეს იერიში რუსების სიმაგრეებზე რკინის გზის ახლოს, მაგრამ უკუქცეულ იქმნენ. რუსებს დაუჭრეს ორი სალდათი. 26 ნოემბერს შეტაკებათა შესახებ მოხსენება არ მოსულა".

ტიანძინი, 26 ნოემბერი. პორტ-არტურთან მყოფი „რეიტერი"-ს კორესპონდენტი იუწყება, რომ პორტ-არტურის საერთო იერიში 13 ნოემბერს შუადღისას დაიწყო. იაპონელები ცდილობდნენ აეღოთ ერლუნშანისა და ციგუანშანის სიმაგრეები და აღმოსავლეთიდან ალყა შემოერტყათ ქალაქისათვის, ამავე დროს იაპონელებმა იერიში მიიტანეს სუნშუშანის სიმაგრეზე იმ განზრახვით, რომ დასავლეთიდანაც ქალაქზე ალყა შემოერტყათ. იაპონელების იერიში უნაყოფო იყო. პორტ-არტურის ალყის შემორტყმის დასაწყისიდან ეს ყველაზე უფრო გამწვავებული ბრძოლა იყო, რომელსაც მოჰყვა საზარელი საარტილერიო ბრძოლა. იაპონელებმა ყუმბარები დაუშინეს სიმაგრეებს დასავლეთის ქედზე და ციხის შიდა სიმაგრეებს. რამდენიმე საათის განმავლობაში სეტყვასავით აყრიდნენ დიდ ყუმბარებს. შუადღეზე სიმაგრეები ნამდვილ ჯოჯოხეთს წარმოადგენდნენ. ამავე დროს ქვეითა ჯარმა, დიდი სარეზერვო რაზმით იერიში მიიტანა სიმაგრეებზე ცზინგუანშანიდან ერლუნშანამდის. იმ ადგილებში, სადაც იაპონელებს ჯარი არ ეფარავდა, ისინი ასობით იღლიტებოდნენ, მაგრამ ისე მრავლად მოდიოდნენ, რომ მთლად დაჰფარეს თხრილები ციხის კედლებთან. იაპონელები გამწვავებით იბრძოდნენ და რუსებიც მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ. აღმოსავლეთის ფრთაზე, სადაც იაპონელები ცდილობდნენ ხელში ჩაეგდოთ სანგრები ციგუანშანის გორის ფეუდოზე, ისინი დიდად ზარალდნენ და თავის მკვდრებზე ადიოდნენ. რადგან იაპონელები რიცხვით რუსებზე მეტი იყვნენ, სანგრებს მიაღწიეს და შტიკებით იერიშს შემდეგ აიღეს. იაპონელებმა შეინარჩუნეს სანგრები 80 მეტრის მანძილზე, სანგრების მთელი წყება-კი ვერ აიღეს. საღამოს 6 საათზედ გაცხარებულმა კონტრ-იერიშმა უკან დაახევინა იაპონელებს, მაგრამ ცხრა საათზე იაპონელებმა ხელახლად დაიპყრეს საფრები და თავგადადებულად ეცადნენ წინ წაწევას. საშინელი ბრძოლა დილის ორ საათამდე განეგრძო, როცა რუსებმა ხელახლად მიიტანეს იერიში და დაიპყრეს საფრები, მკვდარ იაპონელთა გვამებით სავსე. იაპონელები ხელახლად მიუხტნენ და 3 საათზე მთელს სანგრებზედ გამაგრდნენ. შიგნითა სიმაგრის ადების ცდამ უნაყოფოდ ჩაიარა. ამავე დროს იაპონელთა დიდძალი ჯარი ცდილობდა გაერღვია ციხის გალავანი, მაგრამ ვერ მოახერხა. რუსებმა საოცრად გაამაგრეს მტრის მოსაგერებელი ადგილები, სადაც კი მტრისგან თავდასხმა იყო მოსალოდნელი. მეორედაც ეცადნენ გაერღვიათ აღმოსავლეთ ნან-ლუნის სიმაგრის გალავანი. 4-ჯერ მიიტანეს გამწვავებული იერიში და იაპონელთა მცირე რაზმი გადავიდა კედელზე და ვონდოის გორაკის ძირში გამაგრდა.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან"
27 ნოემბერი

ქიუსტენჯი, 27 ნოემბერი. გერმანელთა სამი გემი ანგასანოვკესთან უცდის ბალტიის ესკადრის მოსვლას. ეს ნახშირით დატვირთული გემები ჯერ შიგნით ნავთ-სადგურში იდგნენ. გერმანიის მოხელეებმა მოითხოვეს, რომ კუნძულ შარკთან გაჩერდითო. განგოსაკენ წამსვლელ სანახშირე გემებს დაახლოვებით 10 ათასი ტონა ქვა-ნახშირი უდევთ. ესკადრას 29 ნოემბერს მოელიან სიმონსტოუნში, საიდანაც წაიღებს სურსათსა და წყალს.

სან-ფრანცისკო, 26 ნოემბერი. იაპონიას სურს ხელში ჩაიგდოს გემი „ამერიკა-მარუ", რომელიც ეხლა იოკოჰამაში არის და ეკუთვნის ამხანაგობა „ტოიოკუსსენნაიშა"-ს. იაპონიას სურს ეს გემი დამხმარე კრეისერად გადააკეთოს.

ტოკიო, 26 ნოემბერი. როგორც „დეილი მეილი" იუწყება, „სევასტოპოლი" უშიშარ ადგილასა დგას და შედარებით მცირედაა დაზიანებული. საფუძველია ვიფიქროთ, რომ ეს გემი ზღვაში გასასვლელად ემზადება. როცა ზარბაზნების სროლა დაიწყო, მერე ნაღმიანი გემები არ გამოჩენილან. ფიქრობენ, ლიაოტეშანს ეფარებიან. 24 ნოემბერს რუსებმა დაიწყეს ნაღმების ამოღება, რათა გზა გაუწმინდონ ნაღმიან გემებს ეცადონ ბალტიის ესკადრასთან შეერთებას.

ტოკიო, 26 ნოემბერი. „დეილი ექსპრესი"-ი ამბობს, იაპონიაში იმ აზრისა არიან, რომ პორტ-არტური აღებულ უნდა იქნას წინდაწინვე ალყის შემორტყმით და თავგანწირულ იერიშების მსხვერპლს უნდა მოერიდნენო.

ბერლინი, 26 ნოემბერი. როგორც ტოკიოდან ლონდონის გზით იუწყებიან, იაპონიის არტილერიამ ბრძანება მიიღო ჯერ ჯავშნიან გემებს ესროლონ ყუმბარები, მერე კრისერებს და მერე კონტრ-ნაღმიან გემებსა და ტრანსპორტებს. რუსის გემების მეზღვაურები ნაპირზე გადავიდნენ. იაპონელები ცდილობენ ხელი შეუშალონ მეციხოვნე ჯარის ლიაოტეშანისაკენ წასვლას. ფიქრობენ, „203 მეტრიანი გორა" დაჰყურებს აღმოსავლეთ ფორტსა და ლიაოტეშანს.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"
26 ნოემბერი

მოსკოვი, 25 ნოემბერი. გუბერნატორის თავმჯდომარეობით დაარსდა კომიტეტი მცირე კრედიტის საერთო კასსების შესახებ.

ჰელსინგფორსი, 26 ნოემბერი. დიდის ამბით გაიხსნა სეიმი. წინდაწინ ნიკოლოზის ტაძარში წირვა იქნა გადახდილი. ტაძრიდან გენერალ-გუბერნატორი და საერთო წარმომადგენელნი სასახლეში წავიდნენ. სასახლის დარბაზში ოთხი წოდების წარმომადგენლებმა დაიჭირეს ადგილი. შემდეგ დარბაზში შემოვიდნენ: გენერალ-გუბერნატორი ამალით და სენატორები. გენერალ-გუბერნატორმა სამეფო ტახტის წინ უმაღლესი სიტყვა წაიკითხა, რომლის ფინური და შვედური თარგმანი წაიკითხა სენატორმა სელკანმა. ამის შემდეგ ლანდმარშალმა და ტალმანებმა სთხოვეს გენერალ-გუბერნატორს უქვეშევრდომილესი გრძნობანი გამოეცხადოს მის უდიდებულესობას. წოდებათა წარმომადგენლების საპასუხო სიტყვები რუსულ ენაზე იქნა წარკითხული. შემდეგ გენერალ-გუბერნატორმა წაიკითხა განსახილველი უმაღლეს წინადადებათა სია.

მინსკი, 26 ნოემბერი. „სევერო-ზაპადნი კრაი" იუწყება: ვიტებსკის სასოფლო-მეურნეობის საზოგადოება 1905 წელს დვინსკში გამოფენა-ბაზრობას გაჰმართავს ვილნოსა, მინსკისა, ვიტებსკისა, კოვნოსა, მოგილევისა, ლიფლიანდიისა, კურლიანდიისა და პსკოვის გუბერნიებისთვის.

ბლაგოვეშჩენსკი, 26 ნოემბერი. პირველ დაწყებით სახალხო განათლების ახალმა საზოგადოებამ მოქმედება დაიწყო. ქალაქის საბჭო შუამდგომლობს, რომ ქალაქს ვაგონები მიეცეს საქონლის მოსატანად მოსკოვიდან ციციკარამდე, საიდანაც ადგილობრივ გაზრდის საქონელი მიაქვთ ამურის ოლქში.

27 ნოემბერი.

პეტერბურგი. 26 ნოემბერს იდღესასწაულეს წმ. გიორგის დღეობა. საზამთრო სასახლის დარბაზებში მოხდა უმაღლესი გამობრძანება, შემდეგ გაიმართა საეკკლესიო პარადი ხელმწიფე-იმპერატორის, დედოფლების, საბერძნეთის დედოფლის, დიდთ მთავართა და მათთა მეუღლეთა თანდასწრებით. პარადის შემდეგ მონაწილეობის მიმღებნი მიწვეულ იქმნენ სადილზე, რომლის დროსაც მისმა უდიდებულესობამ მიართვა გიორგის კავალერთა სადღეგრძელო. დიდმა მთავარმა ვლადიმერ ალექსანდრეს ძემ დალია ხელმწიფე-იმპერატორის სადღეგრძელო.

26 ნოემბერს გარდაიცვალა რუსის გამოჩენილი ისტორიკოსი და პუბლიცისტი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე პიპინი.

ყაზანი, 26 ნოემბერი. პოლიცმეისტერის ჩვენების შემდეგ, სასამართლო მონასტერში წავიდა. ბრალდებულის ზახაროვის თანდასწრებით სცდილობენ გამოერკვიათ ის ადგილი, სადაც მან პირველად დამნაშავენი ნახა. ზახაროვისა და პოლიცმეისტერის ჩვენებანი ერთმანეთს არ უდგება. დაათვალიერეს სარდაფი, სადაც ზახაროვი ზაუგდიათ. ვოლმანმა აჩვენა მსაჯულთ, ქურდები გაზით როგორ გაადებდნენ ეკკლესიის კარებს. დაათვალიერეს აგრეთვე გზა, შიგნით ეკკლესია და სხვა. პოლიცმეისტერის ჩვენებიდან გამოირკვა, რომ მან ყველა ზომა მიიღო ხატების მოსაძებნად. გამოირკვა, რომ ხატები დაუწვავთ. პოლიცმეისტერმა სთქვა, ვითომ ჩაიკინს უთქვას მაქსიმოვისთვის, რომ 1903 წელს მაცხოვრის მონასტრის ტაძარში განიზრახეს წმ. ვარსონოფის ნაწილების ამოღება და გარებში დაგდებაო. მაგრამ განზრახვა სისრულეში ვერ მოუყვანია, რადგან აირადი დაჰგონებიათ. პოლიცმეისტერმა განაცხადა, ჩაიკინი გამოიტყდა, ბევრ ბოროტ-მოქმედებაში მივიღე მონაწილეობაო. ნეჟინში მონაწილეობა მიუღია გრინბერგის მოკვლაში, რიაზანში—ღვთის მშობლის ხატის მოპარვაში. პოლიცმეისტერი სხვა ნაირად ახასიათებს ზახაროვს. მაქსიმოვმა სთქვა, პოლიციამ მცემა და ის მათქმევინა, რაც თითონ უნდოდათ. ესევე სთქვა შილინგმა. პოლიცმეისტერმა განაცხადა, 16 წელიწადია, რაც მე პოლიცმეისტერად ვარ და ამ ხნის განმავლობაში პოლიციას არავისთვის არ უცემია. კუზნეცოვმა სთქვა, ჩემმა ქმარმა ყველაფერი მე გადმაბრალაო.

ბერლინი, 26 ნოემბერი („ვოლფი"). რეიხსტაგი. კანცლერმა წარმოსთქვა სიტყვა, შეეხო რუსეთ-გერმანიის დამოკიდებულებას და სთქვა: „რუსეთის შესახებ წესიერ ნეიტრალიტეტს ვიცავთ, რომელიც შეეფერება ჩვენს ძველ დამოკიდებულებას რუსეთის სახელმწიფოსთან; ამასთანავე ისე ვიქცევით, რომ სხვა სახელმწიფოებს, რომლებთანაც მეგობრული კავშირი გვაქვს, არავითარი საბუთი არა აქვთ უნდობლად მოგვეკიდონ და საჩივარი გამოაცხადონ".

სტამბოლი, („ვოლფი"). ინგლისს და პორტას შუა სერიოზული უთანხმოებაა. სულთანი გადაჭრით უარჰყოფს ინგლისთან შეთანხმების დამტკიცებას, რომელიც შეეხება ოსმალეთ-ინგლისის ადენის ტერიტორიის განსაზღვრას. სულთანი შიშობს არ შეამცირონ იმისი უმაღლესი უფლებანი. ხმებია, ინგლისმა გადასწყვიტა ძალა იხმაროს იმ ადგილებში ოსმალეთის მეციხოვნე ჯარების წინააღმდეგ. ხმელეთზე მომქმედ ინგლისელთა ჯარს ზღვაზე დემონსტრაციით შეუწყობს ხელს.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა, 23 ნოემბერი

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	93,70
ბერლინისაზე 100 მარკაში	45,95
პარიზისაზე 100 ფრანკში	37,30
ლონდონისაზე ჩეკები	94,45
ბერლინისაზე „	46,80
პარიზისაზე „	—
ბირჟის დისკონტი	6,7½%
4% სახელმწიფო რენტა	91½
4%-ანი სახელმ. სესხი 1902 წ.	—
4½% შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	89½
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	426½
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	319½
5% გირ. მომგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბანკ.	269½
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	—
4½% ობლ. იმავე საზოგად.	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—
4½% გირავ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	246

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა 15 ოქტომბრიდან.

ფრჩხილებს გარეშე ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) ჩქარი № 20 (მარტო სამშაბათობით) საღამოს 5 ს. 21 წ. (6 ს. 19 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 20 წ., (5 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერივანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) ჩქარი № 19 (მხოლოდ პარასკევს, ნაშუადღევის 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 3 ს. 03 წ. (4 ს. 01 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); 4) საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

ბათუმიდან: 1) საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

ერივან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ.); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) ჩქარი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუაღამევის 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 05 წ. (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); 4) სამგზავრო № 57 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

განცხადებანი

მიიღება ხელის-მოწერა 1905 წლისათვის ორ-კვირეულ გამოცემათ ქართულ

XXII წ. „მწყემს"-ზე XXII წ.

და

XX წ. **რუსულ** «ПАСТЫРЬ»-ზე XX წ.

ჟურნალის ფასი:

12 თვით „მწყემსი" 3 მ.	6 თვით „მწყემსი" 2 მ.
სამკურნალო ფურცლის დამატებით — 4 მ.	— „რუსული „ 2 „
—„ რუსული „ 3 მ.	— „ ორივე გამოცემა 3 „
	— „ ორივე გამოცემა 5 „

გაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება დაბა ქვირილაში რედაქციაში, ქუთაისში—ბ-ნ ესტატე ლომაშვილთან, ტფილისში—წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ბ. შიო ქუჩუკაშვილთან, ახალსენაკში—ბლაღოჩინ მამა არ. კალანდარიშვილთან.

სოფლის მასწავლებელთ და ღარიბთ გაზეთები დაეთმობათ მთელის წლით ორივე გამოცემა სამ მანეთად.

რედაქცია იმყოფება დ. ქვირილაში რედაქტორის საკუთარ სახლებში.

გარეშე მცხოვრებთ ჟურნალის დაბარება შეუძლიათ ამ ადრესით: Въ Квирилы, въ редакцію газеты и журнала «МЦКЕМСИ» и «ПАСТЫРЬ».

რედაქციაში მოიპოვება წარსული წლების რამდენიმე სრული გამოცემანი „მწყემსი"-სა, რომელნიც ორ მანეთად დაეთმობათ მსურველთ.

რედაქციაში მოიპოვება აგრეთვე სხვა-დასხვა სასულიერო შინაარსის გამოცემანი, რომელთა კათალოგი დრო-გამოშვებით ჟურნალშიაც იბეჭდება და მსურველთაც შეიძლება დაიბარონ რედაქციიდან. (3—1)

ი. ს. ანანოვის მემკვიდრეთა

აჯამეთის მამულში იყიდება:

1) დარჩეული ნამყენი ადგილობრივის და ევროპიულის ჯიშისა,

2) ამერიკულ ვაზის ლერწი სხვა და სხვა-ჯიშისა: Rupestris mont., Riparia gl. და Ripariax Rupestris 101¹⁴.

3) ფესვიანი ნერგები ამერიკულ ჯიშის ვაზებისა.

ადრესი: Ст. Аджаметы З. К. Ж. Д. Управляющему имѣніемъ А. М. Татевосяну. (15—7)

დაიბეჭდა და იყიდება

კალენდარი „ცოდნა"

◆ თითო ღირს ორი შაური ◆

ვინც ერთბაშად ასზე მეტს იყიდის, დაეთმობა ექვს-ექვს კაპეიკათ.

შოთა რუსთაველის

დიდი სურათი

დაიბეჭდა ფოტოტიპიით ხუფთად ბრისტოლის მთელს თაბახზე

◆ ღირს ათ შაურად ◆

ვინც ათს ერთბაშად ნაღდზე იყიდის, დაეთმობა ორ-ორ აბაზათ და ვინც ოცზე მეტს—5 კაპ.

ფოსტით მისამართი: Тифлисъ Книжн. магазинъ „Цодна".

სოსიკო მერკვილაძე. (12—1)

მაღაზია ტფილისში

კ. დ. კობახიძისა

(შუა-ბაზარში, სოლომონოვის ქუჩის კუთხეში).

მიღებულია დიდ-ძალი საეკკლესიო ნივთები, ოქრო-ვერცხლი და ძვირფასი თვალმარგალიტი(?)

მიღებულია დიდ-ძალი საეკკლესიო ნივთები, ოქრო-ვერცხლი და ძვირფასი თვალეულობა. მსურველს გაეგზავნება საქონელი ფას დადებითაც, მხოლოთ უნდა გამოგზავნოს მანეთზე 15 კაპ. ბეთ. მღვდლებს-კი გაეგზავნებათ უბეოდ, მხოლოთ წერილი უნდა იყოს შემოწმებული საეკკლესიო ბეჭედით. საქონელი გაეგზავნებათ იაფ-ფასათ. (20—6.—12)

ხე-ხილი

ვაშლი, მსხალი და სხვა საუკეთესო სამრეწველო ჯიშის ხეები. ლეღვი, ბროწეული და ფუნდუკი მსხვილ ნაყოფიანი იყიდება იაფად მებაღე პრილიპკოსთან მუშტაიდში. (3—388—3)

ტფილისში ტანისამოსის მკერავი

ი. ნ. სვანიძე.

მიღებულია მდგომარე სეზონისათვის დიდძალი მატერიები რუსული და საზღვარ-გარეთელი ტანისამოსის შესაკერად ერის კაცთა, სამხედრო და სამოქალაქო მოხელეთათვის და ყველა სასწავლებლის მოსწავლეთათვის. შეკვეთილი საქმე **მალე, კარგათ** და **დროზე** მზადდება. **ფასები ძალიან ზომიერია**. ლორის-მელიქოვის ქ. სახლი ზუბალოვისა მართლმადიდებელთა სასულიერო სემინარიის პირდაპირ. (30—5)

თელავში

გამოსაჩენ ადგილზე იყიდება ახლად აშენებული სამ-სართულიანი სახლი ფლიგელით დახურული ცინკ-წასმული თუნუქით. დაწვრილებითი ცნობებისათვის და ფასისთვის მიმართეთ: Москва, поварская уч., домъ Суходольскаго квартира, 12 დიმიტრი ივანეს ძე როსტომოვს. (4—375—4)

აფხანაურის ამერიკულ ვაზის სანერგე

მ. ა. ანანოვისა

იყიდება ამერიკული ვაზები Riparia და Rupestris, აგრეთვე დამყნილი ადგილობრივ და ფრანგულ ჯიშის ვაზები.

ადრესი: „Ст. Ріонъ З. Ж. Д".

პირველ დეკემბრიდან: მიხაილ ალექსანდრეს ძე ანანოვს.

(6—395—1)



СѢДЕЛЬН. СПЕЦІЯЛЬН.

Безъ конкуренціи

продаются всевозможн. сѣдла.

მიხაილოვის პრ., სახლი აკოფოვისა, № 92, ხაზინეულო სიბრიოის(?) ახლოს. (წ.—176—85)

საუკეთესოდ მოწყობილი

ასოების ჩამოსასხმელი ქარხანა

წიგ. გამ. ქართ. ამხანაგობისა.

ამზადებს ყოველნაირ ქართულს, რუსულს, სომხურს და თათრულს ასოებს.

პრეისკურანტი მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ

„ცოდნა" ქართული წიგნის მაღაზია

ტფილისი, ქაშვეთის ქუჩა, არუხვანიძის სახლი (ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ).

იყიდება ყოველგვარი ქართული წიგნები და სკოლებში სახმარებელი სახელმძღვანელოები.

მიზანი „ცოდნის" მაღაზიისა არის გავრცელება ხალხში და საზოგადოებაში გამოსადეგ, სასარგებლო და ყველასთვის ხელ-მისაწდომ წიგნებისა. **მსურველთ** წიგნები ეგზავნებათ ფას დადებითაც.

იყიდება კალენდრები—ჯიბისა 10 კ. კედლისა 40 კ. ერთბაშად ბევრის მყიდველებს ფას დაკლებით.

ადრესი: Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОДНА".

(50—45). წიგნის მაღაზიის გამგე სოსიკო მერკვილაძე.

გენერალნოე ობშჩესტვო

(Генеральное общество)

სიცოცხლის და სიკვდილამდის შემოსავალთა დაზღვევისა

აძლევს დამზღვევთ:

1) შეურყეველ გარანტიას, რომ უზრუნველჰყოფს ყველა ნაკისრ მოვალეობას; ამ გარანტიას წარმოადგენს: ა) საზოგადოების ძირითადი თანხა სამი მილიონი მანათისა (3.000.000) ბ) სათადარიგო თანხა, რომელიც სდგება საზოგადოების წმინდა მოგებიდან 10% გადადებით და გ) პრემიების სრულის სათადარიგო ჯამისაგან, რომელიც ინახება, მთავრობის ფაქტიურ კონტროლით, თანახმად 1898 წ. 11 მაისის კანონისა;

2) სრულს ხელუხლებლობას პოლისებისას და ყველა იმ ფულისას, რომელიც დამზღვევთ საზოგადოებიდან ერგებათ, არესტისაგან, გადაცემისაგან და სხვა;

3) უსათუოდ უცილებლობას პოლისებისას დაზღვევიდან 1 წლის შემდეგ.

4) პოლისების დაურღვევლობა დაზღვევიდან 3 წლის შემდეგ, ესე იგი, სამის წლის შემდეგ დამზღვევს ნება აქვს, თუ ჰსურს, შეაჩეროს გადასახადის შეტანა საზოგადოებაში და მაგიერად ამისა, დარჩეს დაზღვეულად ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივად;

5) პასუხის გებას, თუ დაზღვეულმა თავი მოიკლა.

6) მოგზაურობის სრულს თავისუფლებას;

7) სამსახურისა და პროფესიის სრულს თავისუფლებას;

8) პრემიების სიიაფეს;

9) განთავისუფლებას გადასახადებიდან, რომელიც საჭიროა პოლისების დასამზადებლად და გრეთვე საგერბო გადასახადებისაგან;

10) უფლებას დაზღვევისათვის გადასახადის თვიურად შემოტანისას;

11, საზოგადოების მოგებაში მონაწილეობის ნებას იმის მიხედვით, თუ რამდენი ქონებს დამზღვევს შეტანილი პრემია;

12) სესხს იმ პოლისების გირაოთი, ყოველთაც 3 წლის განმავლობაში ძალა ჰქონდათ; სესხი გაიცემა 6%-ით;

13) უფლებას შეაჩეროს დროებით დაზღვევა და შემდეგ, თავისავე სურვილის თანახმად, კვლავ აღადგინოს იგი;

14) სამის თვის შეღავათს სავადო პრემიის გადასახდელად და სხვ...

საზოგადოების **გამგეობა** იმყოფება პეტერბურგს, ნევსკი პრ., 23. **ამიერ-კავკასიის ოლქის მმართველობა** ტფილის'ია, გოლოვინის პრ., ოქროევის სახლი, ტელეფონი № 429.

აგენტები არიან ოლქის ყველა უმთავრეს ადგილებში. (100—50)